125
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 4 ივნისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის [illegible]

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 63 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 63

ამხანაგებო! შეგვაძლიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

გულ დათუთქულნი მეუღლე მარო, შვილები: ლიო, ალიოშა, თამარა, ტატუშა და კუკური, სიმამრი და სიდედრი მიხელ ზაალის ძე ასკურავა და ელისაბედ, მათი შვილები და რძალი ელენა, ვანიჩკა და ფლორა ასკურავები ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს უდროოთ დაკარგვას სახალხო მასწავლებლის უძვირფასესი და დაუვიწყარი

კირილე ლაზარეს ძე წილოსანისას,

რომელიც უეცრივ გარდაიცვალა 1 ივნისს ღამის 12 ს. დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 ივნისს ნაშუადღევს 3 საათზე დ. ლანჩხუთში ნათლის მცემლის ეკლესიის სასაფლაოზე.

გულდამწვარნი ძმები შევარდენ და ნიკო, რძლები დარია და ცაცო, ძმისწულები ფიდოსი, მართა, მაგდანე, იოსტინე, პელაგია, იულო, კონსტანტინე, პლატონ, შალვა და იოსებ წილოსნები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას სახალხო მასწავლებლის ძვირფას და დაუვიწყარი

კირილე ლაზარეს ძე წილოსანისას,

რომელიც უეცრივ გარდაიცვალა 1 ივნისს ღამის 12 ს. დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 ივნისს, ნაშუადღევს 3 საათზე დ. ლანჩხუთში ნათლის მცემლის ეკლესიის სასაფლაოზე.

გულდამწვარნი და ცაცო, სიძე კონსტანტინე, დისწულები ვალენტინ და ნოე ცინცაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას პირველი ძმის, მეორე ცოლის ძმის და მესამენი ბიძის, სახალხო მასწავლებლის ძვირფას და დაუვიწყარ

კირილე ლაზარეს ძე წილოსანისას,

რომელიც უეცრივ გარდაიცვალა 1 ივნისს ღამის 12 საათ. დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 ივნისს ნაშუადღევს 3 საათზე დ. ლანჩხუთში ნათლის მცემლის ეკლესიის სასაფლაოზე.

კვირას, 4 ივნისს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში შესდგება მეორე რაიონის რ. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: ქალაქის არჩევნები და მიმდინარე კითხვები. 3—3

პოლიტიკურთა სასარგებლოთ კვირას, 4 ივნისს 3 ნახ. საათზე ნიკიტინის ცირკში (ვერის დაღმართზე) შესდგება ლექცია ყართანიანისა. თემა:

სოციალიზმი და კოოპერაცია

(ცდა მარქსიზმის და „ნაროდნიკების" მოძღვრების სინტეზისა).

ბილეთები 1 მ. 50 კ.—50 კ-მდე. იყიდება პოლიტიკურთა დამხმარე კომისიის მდივანთან (სასახლეში), ლექციის დღეს 12 საათიდან თვით ცირკში. 2—2

ფოთის ორგანიზაცია რუს. ს. დ. მ. პარტიისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 28 მაისისათვის დანიშნული პარტიული ამხანაგების

დამფუძნებელი კრება

იქნა გადადებული 4 ივნისისათვის. მოუწოდებს ამხანაგებს დანიშნულ რიცხვს, 2 საათზე მობრძანდნენ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში. იმავე დღეს მიიღება ახალი წევრები.

დღის წესრიგი: 1) კომიტეტის მოხსენება; 2) ომი და ზავი; 3) მუშათა საკითხი; 4) ნაციონალური საკითხი; 5) აგრარული საკითხი; 6) ჩვენი ტაქტიკა; 7) წესდება კავკასის სოც.-დემ. მუშათა პარტიის; 8) დამფუძნებელი კრება; 9) პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი.

ფოთის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პარტიისა.

ორშაბათს, 7 ივნისს, ახალ სენაკში დანიშნულია

სენაკის მაზრის ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება.

განსახილველია საოლქო სიეზდის კითხვები და ასარჩევია დელეგატები.

3—2 **ს.-დ. კომიტეტის ბიურო.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! არ დავკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს საარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის პროსპ.) ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავე დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მე 3-მე რაიონის კოლექტივი თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. კვირას, 4 ივნისს დილის 10 საათზე თეატრს ალამბარ-პალასში იწვევს

რაიონის წევრთა საზოგადო კრებას

ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ. 2—2

მოქალაქენო

ბინის დამქირავებელნო VII უბნისა!

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო აცხადებს, რომ კვირას, 4 ივნისს, 1917 წელს, შუადღის 12 საათზე მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში შესდგება მესამე და უკანასკნელი კრება მეშვიდე უბნის ბინის დამქირავებელთა, 4 წარმომადგენლის ასარჩევად საუბნო ბინის მომწესრიგებელ კომიტეტში. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს.

ქალაქ. აღმასრულ. კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო.

ქ. თფილისის ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კანცელარია 1-ლ ივნისიდან გადავიდა პუშკინის ქუჩაზე № 5 (საბირჟო კომიტეტის სადგომში) ტელეფ. № 8—04.

კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, საღამოს 7 ნახ. ს-დან 8 ნახ. საათამდე არის მორიგე წევრნი მოსამსახურეებთან დამოკიდებულების მომწესრიგებელი კომისიისა, განცხადებების მისაღებათ და მთხოვნელებთან პირადათ მოსალაპარაკებლათ. 3—2

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული

ბინის მომწესრიგებელი საბჭო

სთხოვს საუბნო ბინის კომიტეტების წევრთ, რომელთაც ჯერ არ აურჩევიათ მეცხრე წევრი, მობრძანდნენ საბჭოს სადგომში (სასახლე) კვირას, 4 ივნისს ამა წლისა, დილის 11 საათზე, მეცხრე წევრის ასარჩევათ [illegible] მოქალაქეთაგან. (2—2)

თფილისის კონსერვატორიის დარბაზში

(გრიბოედოვის ქუჩა № 8).

დღეს, ოთხ ივნისს გაიმართება კამათი

კ. ფოცხვერაშვილის

მოხსენების შესახებ

„დემოკრატიული რესპუბლიკა და მართლმადიდებელი სარწმუნოება".

ვინც ამ მოხსენებას დაესწრო 25 მაისს, იმას დარბაზში შესვლა ძველი ბილეთითაც შეუძლია. დანარჩენი ბილეთები ამ თავითვე იყიდება დარბაზის კარისკაცთან. დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

ვ. ვ. მეჯრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა შლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ შლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისდუშ შივენის, —ქრონიკა, დიდი სალინოიდი ხპეციალური მოდუბა და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰაპების, სისხლ ნაკლებობის, ძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის [illegible], ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 28. ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სემინარიისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი გ. ზ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი მღვდელი

ს. ა. ლექავა

შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52. 10—9

ექიმი პ. ი. ვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცასლის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე ციპანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ზოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (დოროს მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღ. 8 5—8 საათამდე.

საერთაშორისო კონფერენცია.

ახლო მომავალში შვეციის დედა ქალაქ სტოკჰოლმში საერთაშორისო სოციალისტთა კონფერენცია გაიხსნება. კონგრესზე დასასწრებლათ თითქმის ყველა სახელმწიფოების სოციალისტური პარტიების დელეგატები ეწვევიან და მრავალი მათგანი უკვე სტოკჰოლმში იმყოფებიან.

ეჭვს გარეშეა რუსეთის დიდმა რევოლუციამ მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტური კლასების ზეგავლენა საგრძნობლათ შეასუსტა და საერთაშორისო მუშათა კავშირი კვლავ მკვიდრ ნიადაგს პოულობს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამშვიდობო პროგრამა პრინციპიალურათ ყველა ქვეყნის სოციალისტებმა მიიღეს და თითოეულ მათგანმა, როგორც უკვე ვსთქვით ზევით დასახელებულ კონფერენციაზე თავის წარმომადგენლები გაგზავნა. „ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, რომელიც ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე იქნება დამყარებული", უკვე საყოველთაო ლოზუნ[illegible] თაიქცა და ამ ლოზუნგზე მყარდება განახლებული ინტერნაციონალი.

საერთო ნიადაგის მომზადება დღითი-დღე მტკიცდება. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ დღეებში ვანდერველდეს, ტომას და დებრუკერს წერილობით მიმართა და თავის წინანდელ სამშვიდობო ნოტას უფრო გარკვეული და ყველასთვის მისაღები ხასიათი მისცა. დასახელებული საბჭო თავის წერილში ამბობს: რუსეთის რევოლუცია, ხალხის აჯანყება, მოხდა არა მარტო რუსეთის მტარვალობის წინააღმდეგ, არამედ ის მოხდა საშინელი ომის წინააღმდეგაც. ომში დამნაშავეა საერთაშორისო იმპერიალიზმი. რუსეთის რევოლუციამ ყველა ერებს პირველ რიგის საკითხათ დაუყენა, რაც შეიძლება დაჩქარებით ზავის შეკვრა მეომარ სახელმწიფოთა შორის და ამის განსახორციელებელი გზაც უჩვენა. ეს გზა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის და დემოკრატიის შეერთებაა, რათა ასეთი საშუალებით ბრძოლა გაჩაღდეს იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც მდიდარ, შეძლებულ ჯგუფების სასარგებლოთ ფიქრობენ საერთაშორისო ომის გახანგრძლივებას. ფორმულა, რომელიც შეიცავს საყოველთაო მშვიდობიანობას—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებათ, როცა ყველა ერს თვითგამორკვევის უფლება ენიჭება, გამოხატავს ხალხის მისწრაფებას მკვიდრი ზავის შესაკვრელად. ასეთი ზავის პირობები შემუშავებული იქნება თვით მშრომელთა კლასების მიერ მათი ინტერესების მიხედვით. მაშინ ისინი სულ ადვილათ მივლენ სასურველ შეთანხმებამდე, ექნებათ რა სახეში მხოლოდ საკუთარი კლასობრივი ინტერესები. ამავე დროს ბოლო მოეღება სხვადასხვა სახელმწიფოების იმპერიალისტების პრეტენზიებს, რომლებიც ეხლა ხშირათ სოციალისტების სახით ევლინებიან მუშათა კლასს.

ეჭვს გარეშეა ასეთი სულიერი განწყობილება, ასეთი იდეური შეთანხმება სტოკჰოლმის კონფერენციაზე ყველა ქვეყნის სოციალისტებს შეაერთებს, საერთო ნიადაგზე გამაგრდებიან და მით ძმათა შორის სისხლის ღვრას ერთხელ და სამუდამოთ ბოლოს მოუღებენ.

სხვა დანარჩენი საკითხები წვრილმანია ზარალის ანაზღაურება უმნიშვნელო შეხლა-შემოხლის საბუთია და იმდენათ ამ საკითხს იქ ადგილი არ ექნება. დღეს საერთაშორისო სოციალისტები უმთავრეს საკითხის გარშემო შეთანხმდნენ. მათ ახლა უკვე შეთანხმებულათ დაგმეს ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა ისტორიული ტენდენცია, ახალი ქვეყნებისა და კოლონიების შემოერთების პოლიტიკა და მათ კვლავ მარქსისტულ ინტერნაციონალური საგარეო პოლიტიკის გარშემო თავს იყრიან.

ამ ჟამათ მსოფლიო ომის უსაშინელეს უბედურებამ საერთაშორისო მუშათა კლასი კვლავ საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესების ღარაჯათ გამოიყვანა და მას ამ გზიდან ვერავინ გადაიყვანს. თვით ბურჟუაზიული კლასების წარმოების წესმა და მისმა საგარეო პოლიტიკამ თავისი წიაღიდან წარმოშობა თავისი უარმყოფელი საერთაშორისო მუშათა კლასი, რომელიც ახლო მომავალში ზავის საკითხს ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დაამყარებს და მით მთელ კაცობრიობას საშინელ ომისაგან იხსნის. დიდება ერთ საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვე[illegible] და იგიც წინასწარათ გამარჯვებას [illegible] წულობს.

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლებები

ფინლიანდიის დამოუკიდებლობა.

ფინლიანდიის ერი დამოუკიდებლობისაკენ მიილტვის. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც თვალყურს ადევნებს ფინლიანდიელთა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ შემთხვევაში ყველა პარტია ერთსა და იმავე პოზიციაზე დგას. რამოდენიმეთ მიზანი უკვე მიღწეულია. დროებითი მთავრობა დასთანხმდა გადაეცა ფინლიანდიის სენატს ყველა იმ კანონების დამტკიცების უფლება, რომელიც ქვეყნის შინაურ ვითარებას ეხება. წინათ ყველა კანონებს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი და ფინლიანდიის დიდი მთავარი. ამჟამათ რუსეთის მთავრობის ხელში რჩება მხოლოდ იმ კანონების დამტკიცების უფლება, რომელიც განსაზღვრავს რუსეთ ფინლიანდიის ურთიერთობას და რუსეთის მოქალაქეთა უფლებებს ფინლიანდიის საზღვრებში. მარა ფინლიანდია არც ამით დაკმაყოფილდა. სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, ამჟამათ სენატის თავმჯდომარე ტაკოი ალიო ამბობს: „თავისუფალი ერი დამოუკიდებელი ერია". სწორეთ ასეთია ფინლიანდიელთა ლტოლვილება. მარა მათ არ სურთ ისარგებლონ დროებითი მთავრობის გაჭირვებული მდგომარეობით, როცა რეაქციონერები ირაზმებიან და რევოლიუციის დასამარებას ცდილობენ. ამიტომაც საბოლოოთ კითხვას დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს.

დემოკრატია მომხრეა ერთა თვითგამორკვევის უფლების. ყველა ერმა თავისი ბედი თვითონ უნდა გადასჭრას. აქ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით ნათელჰყო მსოფლიო ომმა, სამი წელია, რაც იმპერიალისტური სახელმწიფონი ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ეომებიან, მარა შედეგი არა სჩანს: ჯერ-ჯერობით თავს გამარჯვებულათ ვერავინ ჩასთვლის. ამიტომაც არის ომის დაბოლოვება საერთაშორისო დემოკრატიამ უნდა იკისროს. ეს შეიძლება ანექსიისა და კონტრიბუციის უარყოფით და ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით. ასეთია საერთო დროშა და ამითვე უნდა ვიხელმძღვანელოთ ფინლიანდიის საკითხის გადაჭრის დროსაც. რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია, ყოველივე ძალდატანებას უარყოფს. ფინლიანდია დამოუკიდებლობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მას გვერდში ამოუდგება რუსეთის მუშათა კლასი და შეგნებული გლეხკაცობა.

რუსეთის მთლიანობა თვითმპყრობელობის დროს დაფუძნებული იყო ხიშტსა და ძალადობაზე. ამიერიდან ამას ადგილი აღარ ექნება. თუ ერი თავისთვის საუკეთესოთ მიიჩნევს გამოყოფას და დამოუკიდებელ ცხოვრებას, ამ შემთხვევაში დემოკრატია მის სურვილს სამართლიანათ იცნობს და მას თავისუფლების მოპოვებაში დაეხმარება.

ფინლიანდიის დემოკრატია დამოუკიდებლობას ესარჩლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მიზანს მიაღწევს.

პრესა.

ამ დღეებში დამთავრებულ კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების სიეზდის შესახებ „თფილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს უწყებები" სწერს:

„ეს იყო პირველი სიეზდი მთელს რუსეთში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ერთად გლეხები და მუშები, სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლები. ჩვენ იქ დავინახეთ სომხები, რუსები, თათრები და ქართველები, კამათი ოთხ ენაზე სწარმოებდა და სწორედ გასაოცარია, თუ როგორ მოასწრო ასეთ პირობებში სიეზდმა სულ რაღაც 7 დღის განმავლობაში ასეთი დიდი მუშაობის დასრულება. დიდია ამ სიეზდის მნიშვნელობა. იქ მოხდა გაერთიანება გლეხთა და მუშათა და აგრეთვე გაერთიანება სხვა და სხვა ერთა. სიეზდზე და სექციებში გლეხებს თავისუფლათ ეჭირათ თავი, მსჯელობდენ თავისუფლად. ლაპარაკობდენ შთამბეჭდავათ, ალბათ, სიეზდზე გასარჩევი კითხვები ადგილობრივათ დაამუშავეს თავდაპირველად. განსაკუთრებით საინტერესო იყო სექციებში აგრარული და ნაციონალური საკითხების შესახებ მუშაობა. გასაოცარი არ გვქონებით თუ ვიტყვით, რომ სიეზდმა თავისი დანიშნულება ბრწყინვალეთ შეასრულა—ყოველგვარი უთანხმოების შესახებ სიეზდმა გამონახა საერთო, შესათანხმებელი ენა. ეს იმის მომასწავებელია, შემდეგშიაც ისე შეთანხმებულათ გადაწყდება ყველა საკითხი—ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული თუ სხვა, რომლებიც ხშირათ საკვანძო და საშიშროთ მიაჩნდათ".

გაზეთი მიესალმება ამ ახლათ შექმნილ რევოლიუციონურ ორგანიზაციას და ამბობს:

„ანარქია ვითარდება რუსეთში", მაგრამ მეტის სიჩქარით ირაზმება რევოლიუცია".

⁂

ამავე სიეზდის მუშაობას წერილები უძღვნეს „საქართველომ" და „სახალხო ფურცელმა". „საქართველო" მხოლოდ ერთ საკითხს ეხება, სახელდობრ ეროვნულს და სიეზდზე [illegible] რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ [illegible] „სახალხო [illegible]", ის სწერს:

„ეროვნული იდეია ზევიდან კი არ მოდის მასაში, როგორც პარტიული დოქტრინა, არამედ ქვევიდან ზევით, როგორც საყოველთაო და შეგნებული სურვილი ეროვნული საკითხის გადაწყვეტისა თვით ხალხში, თვით დემოკრატიაში, ქართველი ერის დიდ უმრავლესობაში".

სამაგიეროთ „სახალხო ფურცელი" ასე თავისებურათ ახასიათებს სიეზდს:

„იქ იყვნენ წარმომადგენელნი უმთავრესად ორის გუბერნიისა—თფილისის და ქუთაისისა ე. ი. წარმომადგენელნი საქართველოსი. როგორი იყო ეს წარმომადგენლობა, ამას თავს დავანებებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იქ იყვნენ სოფლის პროპაგანდისტები, ზოგიერთი ადგილებიდან გერმანულ ენის მასწავლებლები და ეს შეადგენდა დემოკრატიას, ხალხის სურვილის ნამდვილ გამომხატველს".

ასე რომ, თუ ამ „სარევოლიუციო" პარტიის ორგანოს დავუჯერებთ, ეს სიეზდი კი არა, რაღაც დეკორაცია ყოფილა. ასე დაახასიათა სიეზდი „სახალხომ" იმიტომ, რომ ფედერალისტების არც ერთი რეზოლიუცია სიეზდმა არ მიიღო—ფედერალისტები ყველა საკითხებში დამარცხდენ, თუმცა თავგამოდებით იბრძოდენ. სულ სხვა იქნებოდა, რომ ხსენებულ სიეზდს ფედერალისტების თუ გინდ ერთი რეზოლიუცია მიეღო—მაშინ, რა თქმა უნდა, ის იქნებოდა დემოკრატიული, ეროვნული და სხ.

„სახალხო ფურც.", რასაკვირველია, უკმაყოფილოა მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობისა ოდნავაც! ყრილობამ ქვეყანას დაანახვა, რომ ფედერალისტებს ხალხში არავითარი გავლენა არა ჰქონია, რომ მათი მოღვაწეობა არსად თანაგრძნობას არ იწვევს. არ მოსწონს გაზეთს არც ყრილობის შემადგენლობა, არც ის რეზოლიუციები, რომლებიც ყრილობამ მიიღო. ყველაზე მეტათ არ მოსწონს რეზოლიუცია ეროვნულ საკითხზე. გაზეთს მოჰყავს რეზოლიუციის ნაწილი და დასძენს:

„რეზოლიუციის ეს ადგილიც ძლიერ ნათლად მოწმობს, თუ რაგვარი მიკიბულ-მოკიბულია, რა ნაირი ბუნდოვანია სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნულ საკითხში. რეზოლიუციაში არაა ნათქვამი ის, რაც უნდა იყოს, იქ ერთნაირი არევ-დარევაა, შეიძლება განზრახაც".

„არევ-დარევა" სწორეთ „სახ. ფურცლის" შემდეგ სტრიქონებშია:

„რატომ პირდაპირ არაა მოთხოვნილი ერების ავტონომია, განა იგივე თვითმართველობა არაა ავტონომია საკანონმდებლო უფლებით? ან რით აიხსნება, რომ საქართველოს დედა-ქალაქში საქართველოს „გლეხობა" იკრიბება და მის რეზოლიუციაში საქართველოს ხსენებაც არ არის? მაგრამ აქ უბრალო ქანიანობაა, შიში, რომ სხვებს არ მიგვამსგავსონ, არ ეგონოთ საერთო გვქონდეს რამე სხვა პარტიებთანა. თორემ ის, რაც რეზოლიუციაში ბუნდოვანად, გაურკვევლად და გაუბედავათ არის აღნიშნული—ავტონომიაა და სხვა არაფერი. პოლიტიკურ პარტიას არ შეჰფერის სიტყვების შიში და მისწინაშე ძრწოლა".

მაშასადამე, „სახ. ფურცლის" აზრით, „თვითმართველობა იგივე ავტონომიაა საკანონმდებლო უფლებით". მისი შეხედულობით, ყრილობის მიერ მიღებულ თვითმართველობა—„იგივე ავტონომიაა, სხვა არაფერი". რეზოლიუციის ავტორები კი, როგორც ეტყობა, სულ სხვა აზრისანი იყვნენ. მათ ცხადათ აქვთ გათვალისწინებული ის განსხვავება, რომელიც არსებობს ფედერალისტების და სხვა ნაციონალისტების „ავტონომიასა" და გლეხთა ყრილობის მიერ მიღებულ თვითმმართველობას შორის.

„თვითმართველ ერთეულებს აქვთ თავის განსაკუთრებული კულტურულ-ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები და ამ სფეროში ის მოქმედებს, ადგილობრივი ორგანოების საშვალებებით, სრულიად დამოუკიდებლად.

— **მაგრამ არა თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი უფლების მიხედვით, როგორც ეს არის სახელმწიფოში, არამედ ამ სახელმწიფოს დავალებით.** სახელმწიფოს უფლება აქვს ზედამხედველობისა, რომ თვითმართველობა არ გადასცდეს კომპეტენციების იმ ფარგლებს, რომლებიც მას აქვს მინიჭებული".

დასასრულ „სახალხო გაზეთი" ჩვეულებრივ ზეიმობს, როგორც შეეფერება „მძლეთამძლე პარტიის" ორგანოს, გამარჯვების ყიჟინას სცემს და იმეორებს იმას, რაც ბ. ნუცუბიძემ თვით ყრილობაზე წარმოსთქვა:

„ბოლოს სოციალ-დემოკრატები თანდათან მოგვიახლოვდნენ და თითქმის იმ პოზიციაზე დგანან, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ. ცხოვრებამ გასტეხა, პოლიტიკა პარტიული ფანატიზმი და სიმართლის წინაშე ქედი მოახრევინა".

ბ. ნუცუბიძემ უკვე მიიღო ამაზე ღირსეული პასუხი ა. ჩხენკელისაგან: მართალია, რომ თვითმმართველობის კომპეტენციის აღნუსხვაში ერთნაირი დაახლოვება მოხდა ჩვენსა და ფედერალისტთა შორის, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ათი წლის განმავლობაში ფედერალისტები სისტემატიურათ ავიწროვებდნენ თავიანთ ავტონომიის ფარგალს და თავიანთი „ავტონომია", რომელიც წინათ უფრო დამოუკიდებელ სახელმწიფოს უახლოვდებოდა, დღეს, კომპეტენციის მხრივ გადაიქცა, უბრალო თვითმართველობათ. ფედერალისტებს გადმოუდგამთ ჩვენკენ ნაბიჯი და არა ჩვენ ფედერალისტებისკენ.

ამომრჩეველთა საყურადღებოთ!

ამხანაგებო, მუშებო, ჯარისკაცებო და საერთოდ ყველა მოქალაქენო!

ქალაქის აღწერა დასრულდა.

თფილისის საარჩევნო კომიტეტი შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას. უეჭველია ბევრი ამომრჩეველი გამორჩენილია. სიების გამოქვეყნებიდან ხუთი დღის განმავლობაში კანონით შეიძლება მათი შესწორება და გამოტოვებულთა შეტანა სიაში. მარა ნუ დაუცდით ამას. ახლავე გამოარკვიეთ, თუ ვინ არის გამოტოვებული და მიიტანეთ თფილისის საარჩევნო კომიტეტში (არტისტიულ საზოგადოების დარბაზი, გოლოვ. პროსპ.) ისინი ახლავე შეტანილ იქნებიან სიებში. ამისთვის საჭიროა რაიმე საბუთით დამტკიცებულ იქნას, რომ ესა თუ ის გამოტოვებული პირი სრულ წლოვანია, რუსეთის ქვეშევრდომია და აქ, თფილისში, ცხოვრობს, ან დროებით წასულია, მარა ქალაქთან დაკავშირებულია მუდმივი საქმით და მალე დაბრუნდება, ესე იგი მის აქედან წასვლას დროებითი და შემთხვევითი ხასიათი აქვს.

იჩქარეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ სიები შედგება და მერე უფრო ძნელია.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 1—2 ივნისი).

საბერძნეთის მეფის გადადგომა.

პარიზი. ათინიდან იტყობინებიან: დილით ზაიმისმა კონნორს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „რადგან საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი მოითხოვდა მეფე კონსტანტინეს გადადგომას და მის მოადგილის დანიშვნას, გაცნობებთ, რომ მეფემ გადასწყვიტა მემკვიდრესთან ერთად დასტოვოს საბერძნეთი და თავის მოადგილეთ დანიშნოს ალექსანდრე".

პარიზი. გუშინ დილის ხუთ საათზე მეფე კონსტანტინე საბერძნეთიდან მოვიდა. მეფე ალექსანდრემ ფიცი მიიღო. ქალაქში სიწყნარეა. მეფის სურვილის თანახმათ მის განკარგულებაში იქნება საფრანგეთის კონტრ-ნალმოსანი, რომლითაც ის ჯერ იტალიაში წავა და იქიდან შვეიცარიაში.

პარიზი. წინანდებურათ სიწყნარეა. საბერძნეთის მთავრობასთან შეთანხმებით კონნორმა პირეიში ჯარი გადასხა, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთით დაბანაკდა. ჯარის გადასხმა უინციდენტოთ გათავდა.

კრონშტადის ტუსაღების საქმის გამოძიება.

კრონშტადი. საგამომძიებლო კომისია შეუდგა იმ პირთა საქმის გამოძიებას, რომლებიც დაატუსაღეს კრონშტადში რევოლიუციის დროს. ახალმა კომისარმა პარჩევსკიმ დაათვალიერა სატუსაღოები.

მთავრობის პასუხი უკრაინის ავტონომიის შესახებ.

დროებითმა მთავრობამ მოისმინა მოხსენება უკრაინის ცენტრალურ რადის განცხადების გამო, უკრაინის ავტონომიის შესახებ და შეუძლებლათ სცნო რადის სურვილების დაკმაყოფილება, რადგან უკრაინის სახელმწიფოს სხვა ადგილების ავტონომიის ყველა საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების მიერ.

დატუსაღება.

ნიკოლაევი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაატუსაღა საზოგადოებრივი ქალაქის უფროსი, ქალაქის თავი, გამგეობის წევრები და მდივანი. მათ აბრალებენ ჯარისთვის ფეხსაცმელების მიღების დროს ბოროტმოქმედებას.

რუსეთის რევოლიუცია და მეფე კონსტანტინეს გადადგომა.

კოპენჰაგენი გაზეთები მეფე კონსტანტინეს გადადგომის მიზეზათ რუსეთის რევოლიუციას ასახელებენ. კონსტანტინემ რუსეთის თვითმპყრობელობის დაცემის შემდეგ დაჰკარგა ერთი მთავარი ბურჯი თავის მეფობის.

გერმანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ კონსტანტინეს გადადგომას.

სტოკჰოლმი. ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მეფე კონსტანტინეს გადადგომას ფრიად მნიშვნელოვან ფაქტათ სთვლიან. ბერლინში გაზეთები ქებათა ქებას ასხამენ კონსტანტინეს, როგორც გმირს და აღნიშნავენ, რომ მას მხარს უჭერდა რომანოვთა სახლი და მხოლოდ მისი შემწეობით იყო ტახტზე გამაგრებული.

ს.-დემოკრატების თათბირი.

სტოკჰოლმი. ორშაბათს და სამშაბათს გერმანელი ს.-დემოკრატების და პროფესიონალურ კავშირების დელეგატებმა ითათბირეს ელზას ლოტარინგიის და ბელგიის შესახებ.

სამხედრო მინისტრის ბრძანება.

პეტროგრადი. 31 მაისის ბრძანებაში სამხედრო და საზღვაო მინისტრი აცხადებს: რუსეთის რევოლიუციას და მისგან ნაშობ თავისუფლებას წინ უდგას საშინელი საფრთხე—ეს არის გერმანიის იმპერატორი და მისი მოკავშირენი.

მე წინათაც მოგიწოდე და ეხლაც ვიმეორებ, რომ ყოველი ჩვენგანი, ყველა მოქალაქე ვალდებულია მთელის ძალ ღონით დაიცვას ეს თავისუფლება, მე უკვე მოვუწოდე ჯარების უფროსებს მთავარ სარდლიდან უმცროს აფიცრამდე, რომ მტკიცეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. მოვუწოდებ რა კიდევ ერთხელ ყველას შეასრულონ თავიანთი სამხედრო ვალდებულება, ვაცხადებ, რომ დროებითმა მთავრობამ გამოსცა შემდეგი დადგენილება: 1) ის პირნი, რომელნიც თავის ნებით დასტოვებენ ჯარს და 15 მაისამდე 1917 წ. არ გამოცხადდებიან თავთავიანთ ნაწილებში გარდა კანონის მიერ დადებულ სასჯელისა: ა) მათ ჩამოერთმევა დამფუძნებელ კრების და ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნების უფლება ბ) და დამფუძნებელ კრება ჩამოართმევს მათ მიწის რეფორმის დროს მიწის მიღების უფლებას. 2) ამ პირთა ოჯახებს აღარ მიეცემა დახმარება, 3) ის პირნი, რომელნიც 15 მაისს შემდეგ დაბრუნდებიან, შეიძლება ამ სასჯელისაგან განთავისუფლდენ, უკეთუ იგინი თავდადებული მოქმედებით გამოისყიდიან სამშობლოს წინაშე ღალატს. 4) ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც 15 მაისს 1917წ. შემდეგ დატოვეს თავიანთი ჯარის ნაწილი, ან ახალ მობილიზაციის დროს არ გამოცხადდებიან, 5) ამ დადგენილების შესრულება და დეზერტირთა სიების გამოცხადება ევალება გუბერნიის და ოლქების უმაღლეს მთავრობებს. ვაცხადებ რა ამ დადგენილებას მოვითხოვ მის მტკიცეთ შესრულებას.

ბოლშევიკები არ ცხრებიან.

მოსკოვი. პუშკინის ძეგლთან თავი მოიყარეს ბოლშევიკებმა. წარმოითქვა მკაცრი სიტყვები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ერთმა ბოლშევიკმა მოუწოდა ხიშტები ნემეცებისთვის კი არა მთავრობისა და კაპიტალისტებისთვის მიეშვირათ. ბრბო და ჯარისკაცები ორატორს ეცენ და სცემეს. გაბოროტებულ ბრბოს ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან ცოცხალ-მკვდარი ბოლშევიკი და კომისარიატში წაიყვანეს.

დამფუძნებელ კრების არჩევნების თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების არჩევნების საგანგებო თათბირმა შეუძლებლათ სცნო მიეცეთ არჩევნების უფლება იმ პირთ, რომელსაც ღირსება ჩამორთმეული ჰქონდათ და დადებული ვადა გაათავეს. დეზერტირების შესახებ მიიღეს ნაბოკოვის წინადადება ეს საკითხი არმიის და ფლოტის საარჩევნო კომისიას გადასცეს. შემდეგ კომისიამ დაადგინა აირჩიოს 4 ახალი კომისია; სარედაქციო, არმიის და ფლოტის არჩევნების, განაპირა მხარეების და საარჩევნო სიების.

საქალაქო არჩევნები.

პეტროგრადი. სარაიონო საბჭოების არჩევნები მოხდა სპასკის, ვიბორგის და სადმირალტეისტვო ნაწილებისა ხმა მისცა 670424 სოციალისტებმა მიიღეს 507.982, მათ რიცხვში ბოლშევიკებს 117.760 ხმ., ბურჟუაზიულმა პარტიებმა 166.309, მათ შორის კადეტებმა 152.719.

დახმარება.

პეტროგრადი. ცხოვრების გაძვირების გამო დროებითმა მთავრობამ დაადგინა მოსკოვის და პეტროგრადის სახელმწიფო მოსამსახურეთ მისცეს თვენახევრის ჯამაგირი დახმარების სახით, ხოლო არა უმეტეს 400 მანეთისა. სხვა ადგილებში ერთი თვის ჯამაგირი, ხოლო არა უმეტეს 250 მანეთის.

სამხედრო ბიუჯეტი.

ვაშინგტონი. სენატმა მიიღო 3.281 მილ. დოლარი სამხედრო ბიუჯეტი.

კირსანოვის რესპუბლიკის პრეზიდენტის დატუსაღება.

ტამბოვი. დაიჭირეს კირსანოვის ახლად გამოცხვარი პრეზიდენტი ვაჭარი ტრუნინი და ტამბოვის სატუსაღოში უკრეს თავი. მის მომხრეებს იარაღით შეტაკება მოუხდათ. მოკლულია 8, დაჭრილია მრავალი. კირსანოვოში ჯარი გაიგზავნა.

საბერძნეთის მეფის წასვლა.

ათინა. მეფე-დედოფალი ჩუმათ გაიპარენ სასახლიდან. მეფის ოჯახი კრეისერის მოსვლამდე დარჩება ინგლისის გემზე და მერე იტალიისაკენ გაემგზავრება.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 2 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

კავკასიის ფრონტზე ქ. ტირე-ბოლუს ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა და იქ ცეცხლი გააჩინა. მარანის უღელტეხილთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

პარიზი. 31 მაისი. ბალკანეთში—ფესალიაში შეტაკებები გრძელდება. ელასონა და ტივერონოვო უბრძოლველათ დავიკავეთ. ლარისის დაკავების დროს საბერძნეთის გენერალმა ბაიეამა ჩვენი ჯარების მთავარ სარდალს აცნო, რომ იგი წინააღმდეგობას არ გაუწევს. მიუხედავათ ამისა პოლკოვნიკმა გარევასმა სროლა ასტეხა. საფრანგეთის კავალერიამ სროლითვე უპასუხა. ამ სროლის დროს სასიკვდილოთ დაგვეჭრა 2 აფიცერი და 4 ცხენოსანი ჯარის კაცი. საბერძნეთის ჯარის ზარალი დიდია.

პარიზი. 1 ივნისი. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით და მდ. მაასის მარცხენა ნაპირას საარტილერიო სროლაა. ნ ვარეს ფერმის აღმოსავლეთით გერმანელების ერთი სანგარი დავიკავეთ.

ლონდონი. 1 ივნისი. გერმანიის ჰაეროპლანები 31 მაისს ლონდონს თავს დაესხნენ და იქ ყუმბარები ჩაყარეს. თემთა პალატის ცნობით სასიკვდილოთ დაიჭრა 60 და დაშავდა 200 კაცი.

ახალი ამბები

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრალურ საბჭოში დაადგინეს არჩეულ იქნას 25 კაცი მუშებიდან, 25—გლეხთაგან. არჩეულ იქნენ: თფილისიდან—ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, არ. ზურაბოვი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი, გიორგი ერაძე, ვლ. ჯუღელი, გ. კარაჯევი, ვ. მგელაძე, ალაჯანიანი, ი. ბესელიძე, ი. ქარცივაძე, ს. დანდუროვი, გიულუმანი, კასიმ ჯელალშიკოვი და საპარნიკოვი. ბაქოდან—ირემაშვილი, ს. პაიჭაძე, 1-ლი სახელმწიფო დუმის წევრი მიხაილჩენკო, მოისეენკო, სახნოვსკი, ტერ-გაბრიელიანი და სოჩნევი. ჩრდილოეთ კავკასიიდან—ვოლკოვი და პრედკოვი. გლეხთაგან აირჩიეს ჯერ-ჯერობით ხუთი კაცი, რომლებიც წარმოადგენენ თფილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ყარსისა და სოხუმის ოლქებს. თფილისის გუბერნიიდან აირჩიეს: ვასო ცაბაძე და რაფიელ ჩიხლაძე, ქუთაისიდან მ. ქარცივაძე. სოხუმიდან კვარაცხელია და ლომცარ-ოღლი. ასე რომ, გლეხთა კურიიდან ცენტრალურ საბჭოში თავისუფალია 20 ადგილი. ეს ადგილები განაწილებული იქნება იმ გუბერნიების გლეხთა წარმომადგენლებს შორის.

◆ 1 ივნისს შესდგა ცენტრალური საბჭოს სხდომა. აირჩიეს პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის უფროს ამხანაგათ ნოე რამიშვილი, მეორე ამხანაგათ—ი. ქარცივაძე. მდივნებათ ს. დანდუროვი და ვ. ცაბაძე. გადასწყვიტეს არ გამოჰყონ ცალკე გლეხთა კურია, არამედ—დასტოვონ საერთო გლეხთა და მუშათა კურია. დაადგინეს შეეკითხონ გლეხთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს, თუ რა „ნაკაზის" მიხედვით იწვევს ის სიეზდს 19 ივნისს. დაევალა თავმჯდომარეს, რათა ის მოელაპარაკოს კავკასიის ჯარის ცენტრალურ საბჭოს, რომ ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდეს. საბჭომ გადასწყვიტა მოთავსდეს ყოფილ გუბერნატორის მანდრიკას ბინაზე, რაც უკვე აცნობეს საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტს.

◆ გლეხთა დეპუტატების საბჭო შემდგარა ერევნის გუბერნიაში. საბჭოში აურჩევიათ 29 წარმომადგენელი. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია გუბერნიაში მცხოვრებ ყველა ერებს.

◆ **„მზადება" საქალაქო არჩევნებისთვის.** პირველ უბნის მილიციონერი გიორგი ზუბაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ორ ივნისს, ამხ. მ. ლოლაძის თანადასწრებით ჩამოვართვი მედუქნეს საარჩევნო ფურცლები, (личная карта) დაახლოვებით 500 ცალი. როგორც აღმოჩნდა ეს ფურცლები მიუყიდნია მისთვის ერთ გადამწერთაგანს, რომელიც პირველ უბანში სწერდა საარჩევნო ხმებს. ეს პირი, როგორც გადმომცა მედუქნემ, სახელად დანელია ყოფილა. აგრეთვე დაუმატა მედუქნემ: ის ფედერალისტი არისო. მე მომყიდა ეს ფურცლები და მითხრა: კიდევ მაქვს თუ გინდაო. მე დავთანხმდი და ვუთხარი მოეტანა, რადგან ჩემთვის სახვევი ქაღალდი საჭიროა. ჩამორთმეული ფურცლები გადავეცი მუშათა დეპუტატების საბჭოს, სადაც შესაფერი ოქმი შეადგინეს. ასეთ მუშაობას ეწევიან ზოგიერთი მოქალაქენი და მათ შორის ბ-ნი დანელიაც. საინტერესოა ვიცოდეთ, მართლა ფედერალისტია ის თუ არა?"

◆ **მუშათა და ხალდათთა დეპუტატების** საბჭოსთან არსებულ მუშათა კომისიას განცხადება მოუვიდა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთაგან. ისინი მოითხოვენ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომლებიც შემრიგებელმა „კამერამ" კანონიერათ სცნო. ეს „კამერა" მოწყობილია კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ სარკინისგზო კომისიის მიერ. კომიტეტის წარმომადგენელმა ჯაფაროვმა კანონიერათ არა სცნო კამერის განაჩენი. მუშათა კომისიამ კი, კანონიერათ სცნო კამერის გადაწყვეტილება, ვინაიდან მასში შედიან ორივე დაინტერესებული მხრის წარმომადგენლები. საგანგებო თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მუშათა კომისიის წარმომადგენლებმა—ნოე ჟორდანიამ და სხ., რკინის გზის ამმართველოდან—ჯაფაროვმა—გადაწყდა: ძალაში დარჩეს შემრიგებელი „კამერის" განაჩენი.

◆ **რაჭა-ლეჩხუმში მომქმედ დემოკრატიული ორგანიზაციების და მხარე კომიტეტი.** 31 მაისს შესდგა თფილისში მცხოვრებ რაჭველ-ლეჩხუმელთა კრება, ეს კრება მოიწვია კავკასიის მუშათა და გლეხთა სიეზდის მონაწილე რაჭა-ლეჩხუმის წარმომადგენლებ-

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...კრებაზე წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებები და დაასურათეს რაჭა-ლეჩხუმში ...მყოფ ორგანიზაციების მდგომარეობა. მათ ...ოდეს თფილისში მცხოვრებ რაჭველ-ლეჩხუმელთ დახმარებისაკენ. ამ საკითხის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და აირჩია ...პირისაგან შემდგარი კომიტეტი. კომიტეტს დაევალა, რათა მან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს რაჭა-ლეჩხუმში მომქმედ ...ოკრატიულ ორგანიზაციებს — ფულით, ლიტერატურით და პროპაგანდისტების გაგზავნით.

✦ **დაპყრობილი ადგილები ოსმალეთში.** ...დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით ოსმალეთში დაპყრობილი ადგილების ცალკე სამმართველო მოეწყობა. სამმართველოს სათავეში ეყოლება დროებითი მთავრობის საგანგებო კომისარი, რომელიც კავკასიის საგანგებო კომიტეტის დამოუკიდებლათ იმოქმედებს. კომისარს ეყოლება ორი თანაშემწე. ერთი თანაშემწის განკარგულებაში იქნება ლაზეთი, ...ხანის რაიონი და არზრუმის სამხრეთი ...ის ვილაეტი. მეორეს განკარგულებაში იქნება ბითლისის, ვანის ვილაეტები და ნაწილი არზრუმის ვილაეტისა.

✦ დღეს, კვირას, დილის 10 საათზე პირველი ვაჟების გიმნაზიაში დანიშნულია თფილისის სასწავლებლების ადგილობრივ (ქართულ, სომხურ და თათრულ) ენათა მასწავლებელთა კავშირის დამფუძნებელი კრება. განხილულია წესდების პროექტი.

✦ **სამრეწველოებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის** წევრთა საზოგადო კრება მოხდა 2 ივნისს. კრებამ დაადგინა ...მუშაოზე დაუშვან შტრეიკბრეხერები და ...დონ იმათი კავშირში შეყვანა. თუ ვინიცობაა, ისინი კავშირის ინტერესებს შელახავენ,—დაითხოვენ სამუშაოდან. არ დაიწყონ მუშაობა იმ დაწესებულებებში, სადაც სამრეწველოებს დახურავენ და მხოლოდ სალიბავ განყოფილებებს ამუშავებენ. მუშათა დეპუტატების საბჭოში აირჩიეს ორი დელეგატი: ...ქელოვი და ურშენზონი. შემათანხმებელ კომისიაში—არაქელოვი, ურშენზონი და იუ...ვი.

✦ **განთავისუფლებულ პოლიტიკურთა** ...მხმარე კომისიაში ამ ბოლო ხანებში სხვა და სხვა დაწესებულებებიდან შეკითხვები მოდის: მოიპოვებიან თუ არა განთავისუფლებულებში უმუშევარი ინჟენრები, ტეხნიკები, ...ის მოხელენი და სხვა. ამ ჟამათ დარჩენილა მხოლოდ ავათმყოფი პოლიტიკურები, კო...ა ამ დღეებში ციმბირიდან მოსულის განთავისუფლებულ 67 კაცს. ფულის მხრით კომისია ამ ჟამათ ხელმოკლეობას გრძნობს. თანხა, რომელიც მის განკარგულებაში იყო თითქმის გათავდა. კომისია იმედებს თანამგრძნობთა დახმარებებზე ამყარებს. თავის მხრით კომისია ფიქრობს ლექციების მოწყობით შეაგროვოს ცოტაოდენი თანხა. ამ მიზნით დღეს ...ჯოვსკის ცირკში მართავს ლექციას. წაიკითხავს ვართანიანი—თემა: „სოციალიზმი და კოოპერაცია“.

✦ **მუშათა დეპუტატების საბჭო** იწვევს ...ლა იმ პირთ, რომლებსაც მარტში სხვადასხვა საქონელი ჩამოართვეს. საბჭო წინადადებას აძლევს მათ გამოცხადდნენ საბჭოს ბიუროში და მიიღონ გაყიდული საქონლის ფული.

✦ **მუშების საყურადღებოთ.** თფილისის რკინის გზის საქონლის სადგურის კომიტეტი აცხადებს, რომ საქონლის სადგურში ამ ჟამათ თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება. თუ ვინიცობაა ადგილი განთავისუფლდა, ის მიეცემა მორიგე კანდიდატს. ამიტომ აფრთხილებს კომიტეტი სხვა ადგილიდან ამ მიზნით თფილისში წამომსვლელთ—უნაყოფო ხარჯებს ერიდონ.

✦ **„აღორძინების“ განყოფილება კუკიაში** იხსნება მეცხრე საუბნო კომიტეტის დადგენილების თანახმად. განყოფილება გაიხსნება ...ვალო ალაგას. სთხოვენ ამხანაგებს და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს კოოპერატივის აღორძინების საქმეს, ჩაეწერონ წევრებათ ალექსი ჩოხელთან 3 ს. საღამოს 7 საათამდე იაზონოვის ქ. № 18; მიხეილთან 12 ს. 7 საათ. რევაზოვის შესახვევი № 11 და ნ. კანდელაკთან 3 ს. 7 საათ. ...ნოგორის ქ. № 31.

✦ **სოციალ დემოკრატ პროპაგანდისტთათვის** სომხურ ენაზე ლექციებს კითხულობს ...ნეს სახელობის ქალთა გიმნაზიაში ამხ. ...ტიანი. ლექციების კითხვა დაიწყო 30 ...ს. ლექციას მუდამ ესწრება 80—100 კაცი. ...სულ წაიკითხავს ამხ. ახატიანი 20 ლექციას, სადაც გარკვეული იქნება პარტიული პროგრამის უმთავრესი მოხელები და აგრეთვე საერთო პოლიტიკური საკითხები. ლექციებ... დასწრება არაწევრთაც შეუძლია.

✦ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სექ**ცია ტეხნიკურ ტერმინოლოგიისა და ლიტერატურისა სთხოვს ყველას (აგრეთვე არაწევრთაც), ვისაც სურვილი აქვს ამ სექციაში მუშაობისა (ან ვისაც რაიმე ცნობა აქვს თუ ...გაკეთებულა ამ დარგში აქამდე) მობრძანდეს დღეს საღამოს 8 საათზე ელისაბედის ქ. ...98 ინჟ. ყიფშიძესთან.

✦ **ხონის სავაჟო გიმნაზიის** დირექტორი ...ლობას სწირავს გიმნაზიის საპატიო მზრუნველს მაქსიმე ფირნაოზის ძე ჩხაბავას, რომელმაც ხონის სავაჟო გიმნაზიას შესწირა ...000 მ. საქალებოსას—300 მ.

✦ **პოლიტიკური განთავისუფლებული** ბესარიონ ნაცვლაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას 2 ივნისს გოლოვინის პროსპ. დაეკარგა მოწმობა, რომელიც გამოცემული იყო მუშათა საბჭოს შრომის ბიუროსაგან სასურსათო კომიტეტის სახელზე. მოძებნილი მოწმობა ყალბათ ჩაითვლება.

✦ **საზეინკალო სახელოსნო „პუკის“** პატრონს ტროცკის მუშებმა მოსთხოვეს, რომ მას მოესპო თავის სახელოსნოში ნაჭრობით და ზედმეტი საათების მუშაობა. ბ. ტროცკიმ მუშები გარეთ გამოყარა და დაემუქრა—მიბრძანდით, სახელოსნოს ვხურავ. ლითონზე მომუშავეთა კავშირი სთხოვს ამხანაგებს ნუ იმუშავებენ ხსენებულ სახელოსნოში.

✦ **თფილ. კომ. რ. ს. დ. მ. პ.** როგოვი—კამენმა შემოწირა ოცდა ათი მანეთი.

✦ **ლითონზე მომუშავეთა** პროფესიონალური კავშირის გამგეობა მადლობას უძღვნის უცნობ ინჟენერს, რომელმაც თავის ვინაობა კავშირს არ აცნო და შესწირა მას 500 მ.

კრებები და მიტინგები.

დღეს დღის 4 საათზე ნაძალადევის თეატრში შესდგება თფილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა კრება. თემა ქართულად: „სოც.-დემ. მუშ. პარტიის პროგრამმა“.

— 3 საათზე ნავთლუღში კომენდანტის მოედანზე სალდათების მიტინგი თემა: „მიწის საკითხი“.

— 9 საათზე დილით დიდუბეში ელისაბედის ქუჩ. სალდათების მიტინგი.

— 12 საათ. კავკასიის საკავალერიო დივიზიის შტაბის სალდათთა კრება თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— 4 ს. დღით ნაძალადევში მოქალაქეთა კრება. თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— 11 საათ. დილის საბურთალოზე სახალხო აუდიტორიაში მუშების და მოქალაქების კრება: თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— საღ. 7 ნახ. ს. უკანასკნელი ლექციაა მესამე საქალებო გიმნაზიაში. პროპაგანდისთა კურსებზე წაიკითხავს იშკოვი. თემა: „ეკონომიური მატერიალიზმი“.

— კვირას, 4 ივნის, საღამოს 5 ს. დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შკოლაში 8 ე და 9 უბნის კომიტეტის ასარჩევად. (19 თებერვლის ქუჩ.).

პროვინციის ქრონიკა.

სოფ. ხციხი (ქართლი). ხცისის საზოგადოების სასოფლო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიმართოს სოფლათ დარჩენილ მშრომელ ხალხს კვირაში ერთი დღით დახმარება აღმოუჩინონ მამულების დამუშავებაში ომში გაწვეულ ჯარისკაცთა უმწეოთ დარჩენილ ოჯახებს. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა ამ საყურადღებო მოწოდებას.

სოფ. ცერონისი (გორის რაიონი). მოხისის საზოგადოების კომისარმა 28 მაისს ჩამოართვა იარაღი ამ სოფლის მცხოვრებს თ.-დ გიგო ყაფლანის ძე ფალავანდიშვილს და დაატყვევა ის. ფალავანდიშვილის წარსული ცხოვრება ბნელეთით არის მოცული, ერთ დროში პროვოკატორის როლსაც კი ასრულებდა და როგორც მავნე პირი და მტერი რევოლიუციისა, დატყვევებული იქნა.

სოფ. მოხისი. მასწავლებელ ქალს ქ. კვალიაშვილს განუზრახავს სოფ. მოხისში დაარსოს უფასო სამკითხველო. ამ მოკლე ხანში მოხისში დაიდგმება სახალხო წარმოდგენა ნ. სიხარულიძის რეჟისორობით—ამ სამკითხველოს სასარგებლოთ.

დ. ხაშური. ხაშურის რაიონის სოც. დემოკ. მუშათა პარტიის წევრმა—ამხანაგმა ქალებმა ამ პარტიის სასარგებლოთ რკინის გზის საკრებულოში 27 მაისს გამართეს დიდი საღამო წარმოდგენით. დარბაზი სავსე იყო ხალხით და წმინდა შემოსავალი 200 მანეთზე მეტია.

— მიხაილოვის დეპოს მუშამ ვასო გლურჯიძემ 200 მანეთი შესწირა ხაშურის ს.-დ ორგანიზაციას. მასწავლებელმა თეოფილე კალანდაძემ შესწირა 50 მანეთი და ყოველთვიურათ აღუთქვა 25 მანეთი. ორივე შემომწირველი დიდი მადლობის ღირსნია და კომიტეტმა შეიტანა რა ოქმში მათი გვარები, გადასწყვიტა მადლობა გამოუცხადოს მათ.

რუსეთის ამბები.

კერენსკის სიკვდილისგან გადარჩენა. 26 მაისს სამხედრო მინისტრი კერენსკი კინაღამ უცაბედი მსხვერპლი გახდა მილიციონერის, რომელმაც მეტის მეტი ერთგულობა გამოიჩინა. კერენსკი ავტომობილით სამხედრო ოლქის შტაბში მიდიოდა. ავტომობილს უკან აუარებელი ხალხი მისდევდა და სალამს აძლევდა კერენსკის. ქუჩაში მდგომმა მილიციონერმა დაინახა რა, რომ ავტომობილს ხალხი მისდევდა, ეგონა ექსპროპრიატორები სხედან და დასაჭერათ მისდევენ, გზაში გადაუდგა და რევოლვერი დაუმიზნა. მოითხოვა ავტომობილის გაჩერება. შოფერმა ვერ შეამჩნია ეს და გზა განაგრძო. მილიციონერს ის იყო რევოლვერი უნდა ესროლა, რომ ამ დროს ვიღამაც ველოსიპედით ჩამოურბინა და აცნობა ვინც იჯდა ავტომობილში. მილიციონერმა რევოლვერი ძირს დაუშვა. უპრალო შემთხვევამ კინაღამ იმსხვერპლა კერენსკი.

— **კაფაფოვის განთავისუ[illegible]** [illegible]გებო საქმეთა ს[illegible] მჯდომარე მურავიოვმა იუსტიციის მინისტრ პერევერზევს მოხსენება წარუდგინა პოლიციის დეპარტამენტის ვიცე დირექტორ კაფაფოვის შესახებ. კომისიის გამოკვლევით კაფაფოვს სამსახურის დროს უმოქმედობა ბრალდება, რისთვისაც მსუბუქ სასჯელი მოელის.

იუსტიციის მინისტრმა განიხილა ეს მოხსენება და განკარგულება მოახდინა განთავისუფლონ კაფაფოვი, მხოლოდ იმ პირობით, რომ პეტროგრადიდან წასვლის ნება არა ჰქონდეს.

— **ძველი რეჟიმის მოღვაწეთა გასამართლება.** დროებით მთავრობის კრებაზე იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა მოხსენება გააკეთა ძველი რეჟიმის მოღვაწეთა დატუსაღების საკითხის შესახებ. მინისტრმა განაცხადა, რომ ზოგიერთ ადგილას მრავალი ასეთი „მოღვაწეა“ დატუსაღებული.

მინისტრი საჭიროთ სცნობს დაარსდეს ადგილობრივ სამაზრო და საგუბერნიო სასამართლოები ექვსი კაცისაგან: ამათგან სამი წარმომადგენელი ეყოლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სამს აირჩევს საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ასეთ სასამართლოებს მიენიჭება უფლება დასაჯოს დამნაშავე სამი თვის დატუსაღებით და გადასახლებით.

ასეთი სასამართლოები დაარსდება შემდეგ კატეგორიის პირთათვის:

1) ვინც სახელმწიფო სამსახურში იყო ძველი რეჟიმის დროს და რევოლიუციის წინააღმდეგ ხელს უწყობდა მის განმტკიცებას.

2) ვინც სახელმწიფო სასამართლოში არ იყო, მაგრამ თავის მოქმედებით ხელს უწყობდა ძველი მთავრობის წევრებს.

3) ყველა, ვინც მცხოვრებთა პიროვნების და ქონების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

მთავრობის ერთი წევრი შეეკითხა იუსტიციის მინისტრს თუ რომელიმე ამ კატეგორიას ლენინი ეკუთვნისო. მინისტრმა უპასუხა არაო.

— **პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობის კანონი.** იუსტიციის სამინისტროს საიურისკონსულტოს ნაწილი შეუდგა პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობის შესახებ კანონპროექტის შემუშავებას. კანონპროექტი მოკლე იქნება, მხოლოდ ათი მუხლისაგან შემდგარი. მასალად გამოიყენებენ 1905—1906 წლის ამ საგნის შესახებ ნამუშევარს.

— **პლეხანოვის კანდიდატურა.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენელთა ხელ ახალი არჩევნების დროს, რკინის გზის მოსამსახურეებმა უნდა წამოაყენონ პლეხანოვის კანდიდატურა. პლეხანოვი დასთანხმდა და დარწმუნებული არიან გავა საბჭოში.

— **თხოვნა თავად-აზნაურთა წოდების გაუქმების შესახებ.** კურსკის საგუბერნიო სახალხო საბჭომ მიმართა დროებით მთავრობას თხოვნით გააუქმოს თავად აზნაურთა წოდება და მამული და ფული ჩამოართვას. კურსკის თავად-აზნაურობას წინადადება მისცეს ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს დაწვრილებითი ცნობები მამულისა და კაპიტალის შესახებ.

ქალებისადმი.

დღეს ყველამ გამოიფხიზლა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაფერი როლის დაჭერა მოისურვა. მუშა თხოულობს პოლიტიკურ უფლებას, თხოულობს ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას, 8 საათის სამუშაო დღეს და სხვა. ჯარის კაცი შეუპოვრათ თხოულობს თავის ადამიანურ უფლებების აღდგენას და აღწევს კიდეც მიზანს; ასევე იქცევა გლეხი: ყველგან და ყველაფერში გაისმის მძლავრი ხმა, უფლება, უფლება, კმარა მონობა, კმარა ჩაგვრა, ეხლა დრო ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენს თავს, ჩვენ თითონ ვპატრონობთ. ის ნება ბორკილი. ხალხიც გაორკეცებული ენერგიით აწყობს მომავალ ბედნიერების შენობას.

ამ ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე თითქმის არსად სჩანან მხოლოდ ქალები, არ ისმის ქალთა ხმა, არა სჩანან ქალები ორგანიზაციულათ შეკავშირებულნი, არ ისმის განაწამები ხმა დედისა, არ სჩანს მუშა ქალის დაკორძებული ხელები წითელი დროშით, რომელზედაც ეწეროს „ადამიანური პირობები ქალთა შრომისა“, არ ისმის ხმა იმ მუშა ქალისა, რომლის შრომით უმთავრესათ სულდგმულობს ამჟამად სახელმწიფოებრივი სხეული.

არ სჩანს გლეხის დედაკაცის დანაოჭებული სახე, რომლის ბედი ამ ომიანობის და მძიმე ცხოვრების ტრიალში ეწურება ისე როგორც მისი გაპარტახებული ოჯახი მშიერ-ტიტველი ბავშვებით. არსად სჩანს ამაყი სწავლით აღჭურვილი ახალგაზდა ქალი, რომელიც თავის უფლებას, თავის შეგნების დაგვირათ გზას მოითხოვდეს, ასპარეზს ეძებდეს და სჭედდეს მომავალ ცხოვრების საკეთილდღეოთ. სად ხართ დედებო? რათ არ თხოულობთ, რათ თქვენ თითონ არ აწყობთ მომავალ სკოლას, სადაც უნდა აღიზარდოს ჯანმთელი, საღი გონებით და გრძნობით აღჭურვილი მომავალი თაობა. არსად არიან, არა ისმის-რა. რათა, რისთვის? ვის ელოდებით, ვისი იმედი გვაქვს? ეგერ-ეგერ, კანტი-კუნტათ, კრებებზე, ან წრეებში გაისმის ქალის ხმა, მკრთალი, შეშინებული, ...ც არა ქალებზე, ქალთა უფლებაზე ლაპარაკობენ, არამედ საერთო საქმეზე, რომელიც კაცს და ქალს ერთნაირათ ეხება. თუმცა საკითხია, ერთნაირათ გვეხება ჩვენ ყველა ის საკითხები, რომლებიც წამოაყენა ცხოვრებამ თუ არა: კარგია საერთოთ მუშაობა, კარგია ერთათ სვლა, მაგრამ ქალების ბედი სხვანაირათ იჭედებოდა დასაბამიდან და სხვანაირათ მიმდინარეობს დღესაც. ქალებს ჩვეულებრივ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლის გარდა აქვს თავისი საკუთარი ბრძოლის საგანი ქალთა მამაკაცების ბორკილებიდან გათავისუფლება. მაშ ვინ უნდა გაჭედოს ჩვენი ბედი? მამაკაცებმა? ახალმა მთავრობამ? არა და არა! ყველამ თითონ უნდა შექმნას თავის ბედი.

ჩვენ არავის მფარველობა, არავის აპეკუნობა აღარ გვჭირია. მამა-კაცი და დედა-კაცი დიდი ხანია ერთათ თოხნიან ყანას, ერთათ სჭედავენ რკინას ცხოვრებისას, მაგრამ არავის აინტერესებს მისი ღირებულება. მაგრამ ეს დღემდის იყო, ეხლა აგრე აღარ იქნება. აღარ იქნება იმისთვის, რომ ქალებმა ხმა უნდა აღიმაღლონ, ქალები უნდა შეკავშირდნენ, დაგმონ ძველი, დახავსებული ყველაფერი და სჭედონ ახალი, ამას მოითხოვს სამართლიანობა. ამას მოითხოვს კეთილდღეობა მომავალ თავისუფლებისა. ამას მოითხოვენ ჩვენი შვილები, რომლებიც გონიერ აღზრდას თხოულობს დედისაგან. არა თავისუფალი დედა ვერ შექმნის თავისუფალ სულს მოქალაქისას. არათავისუფალი ქალი ვერ შეიძლებს თავისუფალ სიყვარულს ქმრისას, არა თავისუფალი ქალი ვერ შექმნის ოჯახს, სკოლას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. აქამდის თუ ვბაასობდით და ვლაპარაკობდით, ეხლა საქმეა საკეთებელი. ადრინდ თუ აქამდის მკრთალათ, და შეშინებულათ—ეხლა გაბედვით და მხნეთ, თუ აქამდის ოჯახურ ვიწრო წრეს ვემსახურებოდით—ეხლა თვით ფართო საზოგადოებრივ, საკაცობრიო საქმეს უნდა შევუდგეთ. ეხლა როცა წყდება ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ეხლა როცა ეწყობა ქვა-კუთხედი სახელმწიფოებრივ წესწყობილების არ შეიძლება სიჩუმე ქალებისა. **ან ეხლა ადამიანური უფლება, ან ეხლა მონობის დამხობა ძირიან ფესვიანათ, ან არასოდეს.** მაშ რა ვაკეთოთ ეხლა ქალებმა? დროებითმა მთავრობამ ქალებს საარჩევნო უფლება აღუთქვა. ე. ი. მამაკაცებთან ერთათ გვეძლევა უფლება არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა ქალაქის თვითმართველობაში, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებში და სხვა. მაგრამ ჯერ არ ვიცით, დამფუძნებელ კრებაში მოგვცემენ თუ არა ხმას. ბურჟუაზია ქალების უფლებას და საერთოთ ქალებს ისე უყურებს, როგორც ნივთს და სათამაშო იარაღს და მას რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენ განა ის ჩვენ მოგვცემს უფლებებს? ასეთი მაგალითი არსად არ ყოფილა ჯერ ევროპაში. მიუხედავათ იმისა, რომ ევროპაში ზოგან რესპუბლიკაც არის, ქალებს მაინც უფლება არ აქვთ.

თამარა გოგოლაშვილი.

(დასასრული იქნება).

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მე-11 დღე, 31 მაისი. დასასრული).

კასპაროვ-ც წარმოებაზე კონტროლს მოითხოვს. რათ გვ ნდა რევოლიუცია, თუ ძირითადი რეფორმები არ მოხდებაო. **გ. აიოლლო** წინააღმდეგია კონტროლის დაწესების. **მარქარიანი** მოითხოვს მთავრობამ შეუწყოს ხელი კოოპერაციის განვითარებას.

საპასუხო სიტყვაში **ნოე რამიშვილი** პროტესტს აცხადებს იმ წინადადების გამო, რომელიც მოითხოვს არ დაუშვან სამუშაოზე უცხო ქვეყნის მუშები. დეე—ამბობს მომხსენებელი—მოვიდნენ აქ, ჩვენ პოლიციურ ზომებს არ მივმართავთ, ჩვენ გავაჩაღებთ მათ შორის პროპაგანდა-აგიტაციას, ორგანიზაციებს და მათაც ჩავაბამთ საერთო ფერხულში. როცა ვლაპარაკობთ მუშათა საკითხზე, ცხადია, მხედველობაში გვყავს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის მუშებიც. რაც შეეხება წარმოებაზე კონტროლის დაწესებას ამას საკუთარი ძალით ვერ შევსძლებთ. ჩვენ ვერ მოვაწესრიგებთ ტრანსპორტი, ფოსტა-ტელეგრაფი, მიუხედავათ იმისა, რომ მის სათავეში დგას კ. წერეთელი, დღესაც არეულია... ჩვენ მარტო ბაქოს მასშტაბით კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ, ეს მთელი სახელმწიფოს საქმეა და მანვე უნდა იკისროს კონტროლის მოწყობა, მხოლოდ ეს აგვაცილებს თავიდან ანარქიას...

ხმის დიდი უმრავლესობით სიეზდმა მიიღო ნოე რამიშვილის შემდეგი რეზოლიუცია:

„სიეზდი ფიქრობს, რომ 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, რომელიც მთელი ქვეყნის ძირითადი მოთხოვნილებას შეადგენს, დიდ როლს ითამაშებს რევოლიუციის გამარჯვებისა და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარების საქმეში. სიეზდი ფიქრობს, რომ 8 ს. სამუშაო დღის შემოღება სრულებითაც არ გამოიწვევს შრომის საერთო ნაყოფიერების შემცირებას, ხოლო სამი წლის განმავლობაში ომიანობის დროის განსაკუთრებულ გაძლიერებულ მუშაობით მოქანცულ მუშისათვის ძალთა აღდგენის საჭიროება, დემობილიზაციის შემდეგ მოსალოდნელი უმუშევრობა გვიკარნახებს 8 ს. სამუშაო დღის კანონმდებლობითი გზით დამტკიცებას. ამისათვის სიეზდი აუცილებლათ სცნობს დროებითი მთავრობამ გამოსცეს შესაფერი დეკრეტი.

მაგრამ, იღებს რა მხედველობაში ომიანობის დროის პირობებს, სიეზდს შესაძლებლათ მიაჩნია ზედმეტი მუშაობა თავდაცვაზე მომუშავე საწარმოო დაწესებულებებში, სადაც ეს ადგილობრივ პირობათა გამო აღიარებულ იქნება აუცილებელ საჭიროებათ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ყოველთვის პროფესიონალურ კავშირების, და სადაც ასეთები არ არის, საფაბრიკო—საქარხნო კომიტეტების ნებართვა და ზედმეტი მუშაობისათვის, რომელიც არ უნდა გაგრძელდეს 4 საათზე მეტი, მუშას უნდა მიეცეს ორმაგი ხელფასი.

შრომის ფასის გასადიდებლათ მუშათა და მრეწველთა შორის შესაძლებელ კონფლიკტთა მოსაწესრიგებლათ სიეზდი გამოსთქვამს მომრიგებელ კამერათა შემოღების საჭიროებას მუშათა და მრეწველთა ორგანიზაციების მხრით თანასწორ წარმომადგენლობით. მწარმოებელთა მხრით მასიური ლოკაუტის დროს სიეზდს საჭიროთ მიაჩნია მოთხოვოს დროებით მთავრობას წარმოებაზე კონტროლის დაწესება მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობით. მუშათა შედარებით ნაკლებათ შეგნებულ ნაწილის შრომის თანამედროვე კატასტროფის დროს გაძლიერებულ ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ სიეზდს საჭიროთ მიაჩნია ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვა და 16 წლამდე მოზარდთა შრომის სრულიათ აკრძალვა. შედარებით ნაკლებათ უზრუნველყოფილ მუშათა ნაწილისათვის სიეზდი საჭიროთ სცნობს ისეთ დაწესებულებების შექმნას, რომლებიც დააწესებენ შრომის ფასის მინიმუმს. დასასრულ სიეზდს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია სახელმწიფო დაზღვევის შემოღება უმუშევრობისა, მოხუცებულობისა და უბედურ შემთხვევათაგან და დაზღვევის საქმის დაწესებულებათა გაფართოება და დემოკრატიზაცია“.

ამის შემდეგ სასურსათო საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. **შემიტოვი.** ერთხმათ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლის შინაარსი ასეთია: უნდა მოხდეს სასურსათო საქმის დემოკრატიზაცია და დაწესდეს მაზე სახელმწიფო კონტროლი. საჩქაროთ უნდა მოეწყოს ოთხფორმულიან საარჩევნო სისტემით თვითმართველობის ორგანოები. სახელმწიფომ უნდა დააწესოს კონტროლი იმ დაწესებულებებზე, რომლებიც ამზადებენ და ვაჭრობენ პირველ საჭიროების საგნებით და ეს კონტროლი უნდა განახორციელოს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებისა ან სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანოს საშუალებით. სახელმწიფომ ენერგიულათ უნდა შეებრძოლოს სპეკულიაციას, რისთვისაც დაწესებულ უნდა იქნას კონტროლი კერძო ბანკებზე და ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნითვე კოოპერაციის განვითარებას. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა უნდა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა სასურსათო საქმეში და კონტროლი გაუწიონ საინტენდანტოს მოქმედებას. ამასთანავე რეზოლიუცია სცნობს, რომ სასურსათო საქმე მხოლოდ ნაწილია სახალხო მეურნეობისა და შრომის ორგანიზაციისა და ამისთვის სიეზდი მოითხოვს დაჩქარებით იქნას მიღებული ზომები ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ.

სატრანსპორტო საქმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **პ. წულაიამ.** ერთხმათ მიიღეს მომხსენებელის რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს რა ტრანსპორტის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ განვითარებისა და რევოლიუციის საქმეში, მოითხოვს მის გადასვლას თვით ამიერ კავკასიის რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეთა და ჯარისკაცთა ხელში და მოუწოდებს სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს იქონიონ რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებთან მჭიდრო დამოკიდებულება, რათა შესაძლებელი გახდეს ტრანსპორტის მოწესრიგება. ამასთანავე სიეზდმა გამოსთქვა სურვილი საჩქაროთ მოწესრიგებულ იქნას შავი ზღვის ტრანსპორტი და ეს გადაწყვეტილება ეცნობოს ადგილობრივ კომისარიატს.

გიზო ანჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას სასამართლოს საქმეზე. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „კავკასიაში სამოსამართლო დაწესებულებათა სწორ მოქმედების უზრუნველსაყოფათ, რაშიაც დემოკრატია მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილებზე არა ნაკლებ დაინტერესებულია, სიეზდს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია სასამართლოს დაუყოვნებლივი რეორგანიზაცია შემდეგ პრინციპზე: 1) შემოღებულ იქნას ყველგან ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეებისა, რომლებიც არჩეულ უნდა იქნენ ორივე სქესის შესაფერათ მომზადებულ პირთაგან. 2) სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევათ შემოღებულ უნდა იქნას ინსტიტუტი ორივე სქესის პირთაგან დემოკრატიის მიერ არჩეულ ნაფიც მსაჯულთა; 3) ყველა სასამართლოებში გასამართლება და საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს მცხოვრებთათვის გასაგებ სამშობლო ენაზე“.

ამასთანავე გამოითქვა სინდისის სასამართლოების შემოღების სურვილი პროვოკატორთა საქმეების გასარჩევათ.

დასასრულ მოხდა არჩევნები. კავკასიის ცენტრში ერთხმათ აირჩიეს: მუშათა კურია

25 წევრი (17 მენშ., 3 ბოლშ., 4 ს.-რ. და 1 დაშნ.) 1) ნოე ჟორდანია, 2) ნოე რამიშვილი, 3) არშაკ ზურაბოვი, 4) სიდ. ჯიბლაძე, 5) ნოე ხომერიკი, 6) გ. ერაძე, 7) ვ. ჯუღელი 8) გ. კარაჯევი, 9) ლასა მგელაძე, 10) ს. დონდუროვი, 11) კისილ ჯამალ-ბეგი, 12) იოსებ ირემაშვილი, 13) ს. პაიჭაძე, 14) მ. მიხაილ ჩენკო, 15) პ. მოისეევი, 16) საიანოვსკი, 17) ბესელიძე, 18) ი. ქარცივაძე, 19) გიულუმიანი, 20) საპოჟნიკოვი, 21) ხოჩნევი, 22) ეგადღუნიანი, 23) ს. ტერ-გაბრიელიანი, 24) ფ. ვოლიკი, 25) პერედკოვი. კანდიდატებათ: 1) გაგლოევი, 2) გ. აიოლლო, 3) ზეინალოვი, 4) აზატიანი, 5) გ. მახარაძე, 6) ნ. ცერცვაძე, 7) ვარდოიანი, 8) კ. ნინიძე, 9) ქლენტი, 10) ეფენდიევი, 11) ალ. დგებუაძე, 12) ნ. იმნაიშვილი, 13) ფარნიევი, 14) იეჩენკო, 15) გრ. გიორგაძე, 16) სეროვი, 17) ასრიბაკოვი, 18) სერებრიანსკი, 19) ბერცოვი, 20) კაზაზიანი, 21) მერხალევი, 22) ალშიბაია, 23) ბოგდანოვი, 24) ჯ. ფარიძე, 25) მ. ცხაკაია.

გლეხთა კურიამ ჯერჯერობით აირჩია 5 წევრი: 1) ცაბაძე, 2) რ. ჩიხლაძე, 3) გამბაროღლი, 4) კვარაცხელია, 5) ქარცივაძე. კანდიდატებათ: 1) შარია, 2) ცინცაბაძე, 3) მოლაბა-კარა-ოღლი, 4) მუსა-ოღლი, 5) ი. მაისურაძე (ტურა), 6) ელბაქიანი.

წევრების შესანახათ 10 პროც. უნდა გაიღონ იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც შემოსავალი აქვთ. დანარჩენი საშუალებანი უნდა გამონახოს თვით ცენტრებმა. სიეზდის სხდომათა ოქმების დამტკიცება მიენდო პრეზიდიუმს. ნაშუადღევის 6 საათზე სიეზდი დაიხურა. მისი საბოლოო შემადგენლობა ასეთი იყო: დელეგატი—143. (ტფილისის გ.—77, ქუთაის.—28, ყარსის ოლ.—3, განჯის გ.—1, სუხუმის ოლ.—33, ბაქოს გ. 1).

მუშები—117. (ტფილისის გუბ.—46, ქუთაისის გ.—15, ბაქოს გ.—30, ბათუმის ოლ.—3 ერევანის გ.—6, დაღესტ.—4, ყუბანის ოლ.—4, თერგის—5, შავიზღვისა გ.—1, სტავროპოლის გ.—2). შეერთებული—2. სულ 261.

სანამ სიეზდს დახურავდა, ნოე ჟორდანიამ მიმართა დამსწრეთ მოკლე სიტყვით და მიულოცა მუშაობის ნაყოფიერათ დაგვირგვინება. სხვები ფიქრობდენ—ამბობს ნოე—რომ აქ შეკრებილი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშები და გლეხები ვერ გავათავებდით მუშაობას მთელი თვის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ გავუცრუეთ მათ იმედები, სულ ათი დღის განმავლობაში დავასრულეთ მუშაობა. ნოე წინადადებას იძლევა იმღერონ მარსელიოზა.

სიეზდი მადლობას უძღვნის ჰოლარა ხელმძღვანელს და ავაციებს უმართავს.

ასე დასრულდა სიეზდი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახელით ნოე ჟორდანიამ მიიპატიჟა დელეგატები სასახლის ბაღში ჩაიზე. მწყობრათ, მარსელიოზას სიმღერით მიდიან დელეგატები სასახლისაკენ. სასიამოვნო სურათია; მუშებსა და გლეხებს, კავკასიის სხვადასხვა ერთა წარმომადგენლებს მიუძღვება ჰოლარა ბელადი, ის ვინც 30 წელიწადია სათავეში უდგას კავკასიის დემოკრატიას, ვინც მედგრათ და ერთგულათ მოლაშქრობს თავისუფლებისა და ერთა სოლიდარობის დროშას. სასახლეში ხელით შეიყვანეს გლეხებმა თავისი ხელმძღვანელი. ბაღში დელეგატებმა გადაიღეს სურათი და საუზმე-ჩაის შემდეგ მეტათ ნასიამოვნები დაიშალენ საღამოს 6 საათზე.

ვ. ალათიშვილი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ს. ჩიბათი (გურია).

კვირას, 28 მაისს შესდგა ჩიბათის სოც.-დ. პარტიის საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. ტუსკია, მის ამხანაგათ გ. გოგიჩაიშვილი, მდივნ ზ. ჩახვაძე. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) დელეგატების არჩევა თფილისის პარტიულ სიეზდზე და გურიის კომიტეტში; 2) ვ. ჰყონიას საქმე.

წევრთა რაოდენობის მიხედვით კრებამ აირჩია თფილისის პარტიულ სიეზდზე ერთი დელეგატი ვ. ტუსკია და გურიის კომიტეტში კი ორი მ. ჯორბენაძე და თ. ფიროლავა. შემდეგ კრებამ შეუდგა წერილობითი მოხსენების შედგენას და ყველა კითხვაზე რეზოლუცია გამოიტანა. აგრეთვე კრებამ იქონია მსჯელობა ვ. ჰყონიას შესახებ, თანახმად გაზ. „ერთობაში" ლიხნუთიდან მოთავსებულ კორესპონდენციისა. კრებამ ერთხმად გულისწყრომა გამოსთქვა ლიხნუთელ ამხანაგების მიმართ, რადგან ც ჩიბათის ორგანიზაციას არ სცნობენ და არ აფრთხილებენ ჩიბათელ ამხანაგებს იმ დროს, როცა ბრალს სდებენ ჩიბათის ორგანიზაციის წევრს. ამასთანავე კრებამ აირჩია სამი კაცი (კომისია), რომელთა მოვალეობაა მოისმინონ ლიხნუთის ორგანიზაციის მოხსენება ბრალდება ვ. ჰყონიას შესახებ და იქონ ყოველივე საქმეები ლიხნუთის ორგანიზაციასთან ერთად.

შემდეგ კრებამ თ. ფიროლავას წინადადებით, საპროტესტო რეზოლუცია გამოიტანა ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ ამხ. ადლერის გასამართლების გამო.

ვ ალია.

ქ. ყარსი.

29 მაისს სახალხო საკრებულოს დარბაზში შესდგა საერთო კრება ყარსის ორგანიზაციის სოც.-დემ. პარტიისა. კრებას დაესწრო 500 წევრი. გამოირკვა, რომ პარტიაში უკვე ჩაწერილა რვაასი წევრი, რომლის უმეტესობა ჯარისკაცებია. კრებამ მოისმინა კოლექტივის მოქმედების ანგარიში და შეიმუშავა დღიური წესრიგი. ადგილობრივ საორგანიზაციო კითხვის გარდა განსახილველათ იყო მომავალ პარტიულ სიეზდზე გასარჩევათ კითხვები. კოლექტივმა განუმარტა კრებას ეს კითხვები და მიაწოდა შემუშავებული რეზოლუციები. ბევრმა მათგანმა გამოიწვია ცხარე კამათი და ზოგიერთი შესწორებით კრებამ მიიღო.

ამის შემდეგ აირჩიეს სიეზდზე დასასწრებლათ ოთხი წარმომადგენელი. ერთხმათ არჩეულია ს. ჯუღელი, ნაფიცი ვექილი კოსტანოვი, მუშა გორგიაშვილი და ჯარისკაცი სკაჩკოვი.

ამავე კრებაზე არჩეულ იქნა სამი წარმომადგენელი ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში: პრ. ვ ნკროვსკი, ჯარისკაცი მუხოვი და მუშა გალკინი. კრებამ დაადგინა დღევანდელს კოლექტივს შეიმუშაოს ორგანიზაციის მოქმედების ანგარიში სიეზდზე წარსადგენათ და დაამზადოს საჭირო მანდატები არჩეულ პირთათვის.

შემდეგ კრებაზე ამხ. გაგნიძე წაიკითხავს რეფერატს აგრარულ საკითხზე.

სიმონ ჯაყელი.

რევოლიუცია პროვინციაში.

საგარეჯო. აქ 22 მაისს დიდი მიტინგი მოხდა. სიტყვა წარმოსთქვა ა. ქვათაძემ. ილაპარაკეს მომენტის შესახებ ზავზე და ომზე. მიტინგზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი ზნედაცემულ ჯარისკაცები აწუხებენ მცხოვრებთ, თვრებიან, ქურდობენ, აფუჭებენ ბაღებს და სხვა. ამაზე ჯარისკაცებმა ილაპარაკეს მკაცრი ზომების მიღება. იმ ღამესვე მოხდა შეერთებული კრება, რაიონის გლეხთა ცენტრალური საბჭოს წევრებისა, რომელსაც დაესწრო პოლკის დელეგატიც. ამ კრებაზე შეიკრა მუდმივი კავშირი ჯარისკაცებისა და საბჭოს შორის.

ა. გაცვლილი.

სართიჭალა. კვირას, 28 მაისს აქ მოხდა დიდი მიტინგი. მიტინგს დაესწრო სართიჭალაში დროებით გაჩერებული ნიჟეგოროდის მთელი პოლკი და ადგილობრივი მცხოვრებნი გლეხები და ქალები. ილაპარაკა ქვათაძემ შემდეგ სალდათებმა. გამოვიდა თუ არა ქვათაძე სალაპარაკოთ და შეეხო თუ არა თავადაზნაურობას, ერთი იქაური ფედერალისტი თავადი ჩოხოსანი ბლარაფრისთვის აღარ გაჩერდა, იდგა განაპირას და ისროდა სხვადასხვა ფრაზებს: „გვეყოფა-ეს, ნუღარ გვიღეჰ ვერთ და იგივეს, ნუ ატყუებთ გლეხებსო და სხვა, როცა ტრიბუნაზე ასვლა სთხოვეს აღარ არ მოგვეკარა. ამავე მიტინგზე გლეხებს გააცნო ქვათაძემ ადლერის ჯინაობა, რის შემდეგაც გლეხობამ ერთხმად დაადგინა შეეერთოს საპროტესტო ხმას მთელი ქვეყნისას თავისი პროტესტიც ავსტრიის საზიზღარი მთავრობის მიერ ფრიდრიხ ადლერის სიკვდილის წინააღმდეგ და ეცნობოს ეს პრესით მთელ ქვეყანას.

ა. გაცვლილი.

სად. ალექსანდროპოლი. 28 მაისს, აქ [illegible] ჩაუარა სად. რკინის მუშათა და [illegible] შეერთებულ მუშაობას, რის გა[illegible] მოწვეული საგანგებო კრება რკინის გზის მოსამსახურეებისა. თავმჯდომარემ ვრცლად გააცნო კრებას ამ საკითხის მნიშვნელობა... უცბად კრებაზე გამოცხადდენ ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატები, რომლებსაც კრებამ დიდი ოვაცია გაუმართა. კრებას მიესალმა ჯარის კაცთა სახელით ამხანაგი აფიცერი, რომელმაც მკაფიოდ გააცნო კრებას დღევანდელი მომენტი და მასთან შეფარდებული მუშაობა. ბოლოს ილაპარაკა 60 წლის მოხუცმა ციმბირელმა ლეონტიევმა, მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო: მე ვარ ამხანაგებო ციმბირელი, წამებული ტანჯულ ხალხისთვის. დღეს იხარულობს ჩემი გული, როდესაც მოვესწარი იმ დიდებულ დროს, როდესაც მუშა და ჯარი ერთმანეთთან ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან აღთქმულ ქვეყნისაკენ.

ვიქტორ ქ. ჯვარიშეიშვილი.

რაჭა. (შთაბეჭდილებანი. დასასრული).

ერთ საზოგადოებაში, როცა მრავალ რიცხოვან ხალხს უხსნიდი არჩევნების წესს და დღევანდელ მომენტს, უცებ შემომეკითხენ: „გვითხარი—სოც. დ—ები მართლა საკუთრებას, სარწმუნოებას და ნათესაობას წაგვართმევენო"? მე გავეცი პასუხი და, როცა გაიგეს, რომ ეს ცილისწამება იყო, მაშინ დაიძახეს: „ახლა ისინი იყვნენ აქ, რომ ძალზე ვცემოთო". მე გამოვკითხე, თუ ვის ნიშნავდა სიტყვა „ისინი" და გამოირკვა, რომ ამ საზოგადოებაში მისულან ორი ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელი სტუდენტი და ხალხი დაუფრთხიათ, ვითომც სოც. დე-ბი მათ გაპროლეტარებასა და სარწმუნოების წართმევას უპირებდენ. არჩევით ხალხს ისინი არსად არ აურჩევიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთ საზოგადოებაში მოტყუებით გაიყვანეს. მაგალითად ერთ საზოგადოებაში მასწავლებელმა განუცხადა ხალხს: სოც. დე-ტი ვარო და ხალხმაც აირჩია. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ფედერალისტი ყოფილა და თურმე კიდევაც იქადნოდა: ხალხი მოვატყუე და ისე გავედიო. მთელი დადებითი მუშაობა, როგორც სხვაგან, ისე რაჭაშიაც მხოლოდ სოც. დემოკრატებს აწევს კისერზე და დროა მოწინააღმდეგენი მიხვდნენ ამას და მუშაობას მაინც ნუ გვიშლიან.

არჩევნებმა ნათლათ დაგვანახა, რომ ხალხი ჩვენ მოგვყვება. დღევანდელი რევოლიუცია ომის ქარცეცხლში იშვა და სოფლები მას საუკეთესო ძალებით დაცლილი შეხვდა, ვინაიდან შეგნებული ნაწილი მშრომელი ხალხისა ომის ველზეა გარეკილი. ზოგიერთ საზოგადოებაში ძალზე გაგვიჭირდათ კომიტეტის წევრთა გამოძებნა. კომიტეტების წევრთა გამონახვაზე კიდევ მეტათ გაგვიძნელდა კომისარების დაყენება. როცა ძველი „მოსამართლეები" გადავაყენეთ, აუცილებელი შეიქნა ახლების გამონახვა და ძალთა ნაკლებობის გამო აქაც შევფერხდით. მთელს მაზრაში არსად ძველ მწერალთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი სანდო პირი, რომლისთვისაც ხალხს ნდობა გამოეცხადებინოს და ახალი საქმე ჩაებარებინოს. ყველასი გადაყენება მოითხოვეს და ერთხმათ გაიძახოდენ: „მოგვაშორეთ თავიდან ძველები, მაგათ ამოგვაცალეს პირში სული და გაგვატყავესო". მართლაც, როცა ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, დავრწმუნდი, რომ უკვდავი ნინოშვილის გმირებს მაგრათ ქონდათ ძველი რეჟიმის დროს ფესვები გადგმული და ისე გასტკბობოდათ ხალხის ზურგზე ქეიფი, რომ კიდევ შესწევდათ უტიფრობა ეთხოვნათ—ძველ ადგილზე დაგვტოვეთო. ჩვენ მათ სრული ლიკვიდაცია უქენით და იძულებული შევიქენით ზოგიერთ შემთხვევაში კომისარებათ სოფლის მასწავლებლები ჩაგვეყენებია დროებით მაინც. სოფლის მასწავლებლებმაც ამ მხრით დიდი დახმარება გაგვიწიეს და რევოლიუციის ფერხულში სიამოვნებით ჩაებენ. მილიციის შედგენაც მეტათ ჭირს, რადგან სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალი ჯერ არავინაა და ვინც მოიძებნება, ისიც არ ეწერება, რადგან კარგი ჯამაგირიც რომ ექნეს რაჭელი მაინც არ მოიცდის, ის უსათუოდ გარეთ წავა მუშაობაში. ამას კიდევ მიუმატეთ ის გარემოება, რომ მილიციონერისთვის ცხენია საჭირო და ეს კიდევ უფრო აბრკოლებს ბევრს. არის ხშირათ ისეთი სასურველი კაცი, რომელიც ჩაეწერება მილიციაში, მაგრამ შეძლება არა აქვს ხუთასი და ექვსასი მანეთი მისცეს ცხენში. ასე რომ მილიციის საკითხი რაჭისთვის ჯერ კიდევ მოუგვარებელია. სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ დეზერტირთა რიცხვი რაჭაში ბლომათ ყოფილა, ყველგან, არჩევნების დროს უხსნიდით ხალხს, რომ დღეს დეზერტირობა საერთო საქმის დასამარება იქნება და ამიტომ ყველა თავის ნებით უნდა წავიდესო. ისინიც გვეთანხმებოდენ, მხოლოდ ყოველთვის მოითხოვდენ შემდეგს: „ჩვენ დღეს ერთანი ვართ, მაგრამ მაინც არ დავიზარებთ წასვლას, მაგრამ მოვითხოვთ, რომ ბევრ ოჯახებში 5—6 ქრთამით განთავისუფლებულნი არიან და ისინიც წამოვიდენო".

ვერაფერი ვერ ახდენდა ხალხზე ისეთ გავლენას, როგორც ზავის მოახლოვებაზე ლაპარაკი. როცა ამ საგანზე მოვყავდი ბაასი, ყველა აღტაცებით ისმენდა. მართალია ომის შეჩერება ყველაზე უფრო სწყურია სოფელს, მაგრამ იმასაც შეაჩნევ, რომ, თუ საჭირო იქნება კიდევ მსხვერპლის გაღება, არც ამას დაიზარებს. მოპოვებულ თავისუფლებას სოფლის გლეხიც აწი ადვილად არ შეელევა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს.

საერთოდ, რაჭის მხარემ მოლოდინს გადააჭარბა და მიუხედავათ იმისა, რომ კულტურულ საქმიანობას მოწყვეტილი იყო, ძველი ცხოვრების დამსხვრევას და თავისუფლების პირველ დღეებს დინჯათ და საქმიანათ შეხვდა. არჩევნები, მიუხედავათ მრავალი ტექნიკური დაბრკოლებისა, სასურველად ჩატარდა და 14 მაისს შეიკრიბა დ. ონში ორივე რაიონის (ზემო რაჭის და ქვემო რაჭის) კომიტეტები და აირჩიეს 11 კაცისაგან შემდგარი სამაზრო კომიტეტი. კომიტეტში ყველა სოც. დემოკრატები გავიდენ, რომელთაც მიემატებათ თანახმათ ქუთაისის აღმ. კომიტეტის წესდებისა—ორ-ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნი, ასე რომ კომიტეტის წევრთა რიცხვი იქნება სულ 17 კაცი. ამრიგათ, რაჭის დემოკრატიამ სრული ნდობით აღჭურვა და თავისი ბედ-იღბალი ჩააბარა იმ პოლიტიკური რწმენის მატარებელ ჯგუფს, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ძველი ცხოვრების დანგრეულ ბორკილების დამსხვრევაში და რომელმაც თავის წიაღიდან წარმოშვა ისეთი სათაყვანო გმირები, როგორიცაა ჩხეიძე და წერეთელი, რომელთა სახელიც დღეს მივარდნილ სოფლებშიაც ენაზე აკერიათ.

რაჭის კომიტეტში გასული ხალხის წარმომადგენელნიც ვალდებულნი არიან მხნეთა და ენერგიულათ ჩაუდგენ ბრწყინვალე საქმეს სათავეში და დემოკრატიის იმედები გაამართლონ.

მათი პირველი და უმთავრესი მოვალეობაა დაუყოვნებლივ ისეთი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, რომლითაც მთელი რაჭის მშრომელ ხალხს რევოლიუციის და მოქალაქეობრივ თავისუფლების ფერხულში ჩააბმენ. ბევრნაირი ტკივილი აწუხებს დღეს სოფელს და ყველა ეს მალ-მალე მოსაცხებია. ახალი ცხოვრების მწყობრათ კალაპოტში ჩაყენება და ძველის ნანგრევებზე ახალი და სასურველი შენობის აგება—აი უმთავრესი მოვალეობა, რაც რაჭ[illegible] დემოკრატიამ დაავალა თავის წარმომადგენელთ.

უფრო საპასუხისმგებლო სამუშაო ე. ი. დამფუძნებელი კრებისთვის მზადება აწი მოგვილის და ჩვენც ვიქონიოთ იმედი, რომ მშრომელი გლეხკაცობის წარმომადგენელნი შესძლებენ ხალხისაგან დაკისრებული ჭაპანის წევას.

პავ. იაშვილი.

ქ. გორი. 14—15 მდე აპრილს, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა სოფლებიდან 6000 დეზერტირებმა მოიყარა თავი გორში. მდგომარეობა საშიშარი შეიქნა მცხოვრებთათვის, რადგანაც სხვა დეზერტირები აღელვებული იყვნენ და მოსალოდნელი იყო რაიმე ამბავი, ამ დროს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოახერხეს დეზერტირების მიტინგის მოხდენა, მიტინგზე არჩეულ იქმნა თვით დეზერტირთაგან შემდგარი ბიურო, რომელმაც აღადგინა სრული წესიერება, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. მეორე დღეს ერთმა დეზერტირმა სახელდობრ ვ. პავლიაშვილმა კონტრ-აგიტაცია გაუწია დეზერტირებს და წასასვლელათ გამზადილი დეზერტირები უკანვე გააბრუნა.

დაიწყო ხელ-ახლა უწესოება, რომელსაც მოჰყვა თვით პავლიაშვილის დატუსაღება. ბიურომ სასტიკი ზომები მიიღო წესიერების აღსადგენათ.

მოიწვიეს მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტ. საბჭო. აქ მრავალი კითხვა იყო გასარჩევი, მაგრამ უფრო ყურადღებას იპყრობდა სამხედრო ხარჯები. თავმჯდომარე რ. ერისთავის საკითხი, რომელიც რამოდენიმე დეზერტირების დავალებით წამოვიდა თფილისში დროებით მთავრობის წარმომადგენელ ხარლამოვთან იმ აზრით, რომ შუამდგომლობა გაეწია თითო კაცის ოჯახში დარჩენის თაობაზე. და აი სწორეთ ამ მოვლენამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. დაადგინა რ. ერისთავი გადაყენებულ იქნას სამსახურიდან.

ლ. ზამბახიძე.

თიანეთი. 28 მაისს თიანეთში გაიმართა ყრილობა. ილაპარაკეს ნიხრის დაწესებისშესახებ მთელი მაზრისთვის, ლოთობის მოსპობის, სასურსათო კითხვის, ომთან დამოკიდებულების და დეზერტირთა და აგრეთვე მილიციის შესახებ. ყრილობას თუმცა ბევრი ხალხი არ დასწრებია, მაგრამ მაინც კარგათ ჩატარდა.

ამავე დღეს შესდგა ქალთა ყრილობა, რომლის ერთი ნაწილი საერთო ყრილობას შეუერთდა. ილაპარაკა სხვათაშორის ქალმაც, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამავე მიტინგზე დადგენილი იქმნა მისალმება დეპეშა გაეგზავნოს თფილისის საგუბერნიო გლეხთა ყრილობას.

ივედრაული.

პროფესიონალური კავშირები

ქ. ოზურგეთი. 17 მაისს ქ. ოზურგეთში მოხდა ქ. ოზურგეთის ფარმაცევტთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: დელეგატების მოხსენება ქუთ. საგუბერნიო ფარმაცევტთა კონფერენციისა, პროფესიონალური კავშირის დაარსება, გამგეობის არჩევა, წესდების შემუშავება, დამოკიდებულება საგუბერნიო კავშირთან და მოთხოვნილებების წარდგენა.

ამის შემდეგ გაიმართა მსჯელობა სამაზრო ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის დაარსების შესახებ. კრებამ საჭიროთ ცნო ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის დაარსება ქ. ოზურგეთში. გამგეობაში აირჩიეს ს. მხეიძე, ს. ამირბეგიშვილი, დარ. ცინცაძე; სარევიზიო კომისიაში: პროვიზორი სულაქველიძე, რ. შარაშიძე, და გრ. კვირკველია. წესდების შესახებ დაადგინეს ეთხოვოს ქუთაისის საგუბერნიო კავშირს გამოგზავნოს ვრცელი წესდება ქუთაისის საგუბერნიო ფარმაცევტთა კონფერენციაზე მიღებული. შეძენილ უნდა იქნას სამაზრო ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ოზურგეთის სამაზრო მუშა ფარმაცევტთა კავშირი" და მოწვეულ იქნას სამაზრო ფარმაცევტთა კონფერენცია. საგუბერნიო კავშირთან დამოკიდებულების შესახებ გამოითქვა სურვილი ყოველივე ცნობები ადგილობრივ და სამაზრო ფარმაცევტთა ცხოვრებიდან სისტემატიურათ ეგზავნებოდეს საგუბერნიო კავშირს.

ანდრია წითელმთიელი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. თამაკონი (სენაკის მაზრა, სამეგრელო). 6 აპრილს მოხდა სოფელ თამაკონის მომხმარებელ საზოგადოების „სინათლის" წევრთა წლიური კრება. გამგეობის მიერ წამოყენებული ანგარიშები კრებამ სავსებით მიიღო. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: დღი[illegible] დაარსებისა [illegible] ჩაწერილა 382 წ[illegible] რი. საპაიო შ[illegible] 1433 მანეთი, საწე[illegible] 382 მანეთი. წმინდა მოგება 2437 მანეთი [illegible] კაპეიკი. ანგარიშის მოსმენის შემდეგ კრ[illegible] კმაყოფილი დარჩა. კრებამ მადლობა გამო[illegible] ცხადა გამგეობის წევრს კონსტანტინე ჯ[illegible] ჯლავას.

დამსწრე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ქართულის მცოდნე ასოთ-ამწყობ ამხანაგებს.

ამხანაგებო! „ერთობის" № 56-ში, დასტ[illegible] მული იყო ახალ ამბავში შემდეგი წერი[illegible] ჩვენს (ასოთ-ამწყობების) მიმართ:

„საჭიროა ქართულის მცოდნე ასოთ-ა[illegible] წყობნი წიგნების ასაწყობათ. ასოთ-ამწყობ[illegible] არ ყოლის გამო ფერხდება პარტიული ბრო[illegible] შურების გამოცემა. საოლქო და თფილ. კ[illegible] მიტეტის საგამომცემლო სექცია სთხოვს ა[illegible] ხანაგ ასოთ-ამწყობთ დაეხმარონ მას ამ საქმ[illegible] ში" და სხ.

ახლა, ამხანაგებო, ამ პატარა, მხოლ[illegible] ჩვენთვის ფრიად საყურადღებო წერილის [illegible] თხვის შემდეგ, ნუ თუ უნდა გავჩუმდეთ [illegible] ჯეროვანი ყურადღება არ მივაქციოთ ამა[illegible] დღეს ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა დი[illegible] ნაკლია ასოთ-ამწყობთა ხელის სიმცირე, არ[illegible] მარტო სტამბებისათვის, არამედ ჩვენი ჟურ[illegible] ნალ-გაზეთებისათვისაც, მაგრამ რომ ცოტათ[illegible] მაინც სურვილი შეგვწევდეს, ამ ნაკლს არც [illegible] შევამჩნევინებდით საოლქო და თფილ. კომ[illegible] ტეტ ს საგამომცემლო სექციას წიგნების ბე[illegible] დვაში. ჩემის აზრით, თუ რომ ქართულის მცოდნე ასოთ-ამწყობთა რიცხვი 50 კაც[illegible] მეტიც არ იყოს (თუმცა 150-ზედ მეტიც დაითვლება), მაინც თვეში იმდენი საქმე გამოვა, რომ საკმარისიც იქნება საგამომცემლო სე[illegible] ციის თხოვნის ადვილად შესრულება.

ამხანაგებო, ამისათვის მოგმართავთ თქვენ, როგორც შეგნებულს და პარტიისათვის ერთგულ მუშებს, და გთხოვთ, ვისაც სურვილი გაქვთ და დროც შეგწევთ*), მოდით შევეროდეთ და შეერთებული ძალით კვირაში მხოლოდ ორი საათი, ჩვენი თავისუფალი დროსაგ მომცემლო სექციის წიგნების აწყობას მოვანდომოთ და ამით დავუმტკიცოთ ჩვენ ამხანაგ მუშებს, რომ ქვეყანაზე ყველაფერი შესაძლებელია, რომ ჩვენ, ასოთ ამწყობნი, მარტო პარტიის წევრებათ ყოფნით არ ვკმაყოფილდებით, რომ ვიცით საქველმოქმედო საქმისათვისაც ზრუნვა და ხელის შეწყობა.

მაშასადამე, ამხანაგებო, ვისაც გსურთ, პარტიის საგამომცემლო სექციის წიგნების გამოცემაში მონაწილეობა მიიღოთ, მობრძანდით „ქართლის" სტამბაში, ძველი სასულიერო სემინარიის შენობის ეზოში ივნისის 15-[illegible] ამის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ასოთ-ამწყობი გიგო ფარხადანოვი.

სოფ. მუხიანში სადგურიდგან დაშორებით ერთი ვერსის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგზე ვიპოვნე ქალის შავი „შლიაპა". პატრონს შეუძლია მიმართოს სადგურ მუხიანში ერისტო ნიკოლოზის ძეს ჯოვოხაძეს ან მუხიანის სამკითხველოში.

სოფ. სომიწოში გავხსენით უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, რადგან უსახსრობა ხელს გვიშლის—ამიტომ ვთხოვთ ყველას ნივთიერ დახმარება გაგვიწიონ. ყოველნაირი შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: ონი, იოანე იაშვილს, სომიწოს სამკითხველოსთვის.

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ა. ზ. ჯაბიშვილს, რომელმაც თავის ნაცნობ-მეგობართა შორის სპარსეთში შეაგროვა და გამოგვიგზავნა ვანის (ქუთ.) ორკლასიანი სასწავლებლის სასარგებლოთ ასოცდა თუთხმეტი მანეთი და 40 კ. მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ჯაბა ვახტანგის ძე უჯმაჯურიძეს, რომელმაც ამავე მიზნით შეაგროვა სამოცდა თოთხმეტი მანეთი.

ვანის ორკლ. სასწ. სამოსწავლო საბჭო.

ჩვენი ფოსტა.

ელ. ხერხეულიძეს. არ დაიბეჭდება. გამოცემა ჩვენ არ შეგვიძლია. შეგიძლიათ მოიკითხოთ უკანვე.

---

*) სურვილისათვის ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ დრო კი ყველას ექნება, რადგან 8 საათის მუშაობის დროს მიხედვით, 4 ან 5 საათზედ საქმეს ათავებენ და თუ 2 ს. ზედმეტი იმუშავეს საკეთილო საქმისათვის, ამით, მგონი, არაფერი დაშავდება, გაკეთებით კი ბევრი რამ გაკეთდება. გ. ფ.

რედ.-გამომცემელი ვლ. გ. ბოხოხაძე.

ქ. თფილისში, [illegible] №6, მ.-[illegible] ქანთორა და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

მიიღება ყოველნაირი ქართული წიგნები, რომლებიც გამოიგზავნება მსურველთა ფულის გამოგზავნისთანავე.

[illegible] აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „მუშაკის მაცნე", [illegible], „სახალხო საქმე", „[illegible]", „პაიჯარი", და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

[illegible] და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧ[illegible] СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი [illegible]Е. Телеф. № 3—44.

[illegible]